საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 2 ივლისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 147 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 147

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

კვირას, 4 ივლისს ქ. თელავში ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული ციხისთავიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი პეტრე ნიკოლოზის ძე ციხისთავიშვილი, ძმები სერგეი და ივანე ნიკოლოზის ძენი ყაზახაშვილები და დები თინათინა ნიკოლოზის ასული იაგორაშვილისა შვილებით, ანა ნიკოლოზის ასული ქავჭავაძისა და მარიამ ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი. (2098 1—1)

დამწუხრებული და გაუბედურებული მეუღლე ცოუნა დავითის ასული, რძალი ფუცუ ჩიქოვანის ასული, ძმები გრიგორი და სამსონი, ძმის წულები გუგუ, ჯვებე და ტოგო მხეიძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 ივლისს (ახ. სტ.), შაბათს 12 საათზე დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების თავზე წირვა და პანაშვიდი მცხეთის საკათედრო სობოროში

ვლადიმერი დიმიტრის ძე მხეიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (2124 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ავთანდილ იაგორის ძე ჭყონია, უდროოდ დაობლებულნი შვილები: მადონა და მელიჩო აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს, რომ 4 კვირკობისთვეს დღითი კვირას 12 საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი დაუვიწყარის

ევგენია სპირდონ ჯაფარიძის ასული **ჭყონიასას**

სულის მოსახსენებლად ს. გომახურში წმინდა გიორგის ეკლესიაში.

გულდათუთქული მეუღლე სიმონ რომანის ძე ელიავა შვილით ვლადიმერითურთ, თავზარდაცემულნი დედ-მამა სოფრომ კონსტანტინეს ძე და თებრონე მოსეს ასული ხორავეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრ. ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელენე სოფრომის ასული ელიავა

26 ივნისს დ. წალვერში. განსვენებული თფილისში მოასვენეს 29 ივნისს დილით 7 ს. პანაშვიდები ყოველ დღე ბინაზე ანდრეევის ქ. № 76 საღ. 5 ს. განსვენებულის გამოსვენება მოხდება კვირას, ივლისის 4, დილის 10 საათზე. მის უწმინდესობის კათოლიკოზ პატრიარქის ლეონიდის მიერ სადაც მისგან იქნება [illegible] შესრულებული წირვა და ანდერძი და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2130 2—1)

გულდაწყვეტილი დედ-მამა მე-2 ვაჟთა გიმნაზიის მოწაფის მოხალისის

შაქრო ქვლივიძისა

ამით აცნობებენ, რომ კვირას 4 ივლისს შესრულდება ორმოცი დღე მისი გმირულად სიკვდილისა თათრებთან ბრძოლის დროს და ვთხოვთ მის საყვარელ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ დაესწრენ დანიშნულ დღეს წირვა და პანაშვიდს, რომელიც შესდგება სოფელ საგარეჯოში ღვთის მშობლის ეკლესიაში. (2100 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ოლღა, მამა მიხეილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 ივლისს ქ. ბათუმში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ვარლამ (ვახტუ) მიხეილის ძე კემოკლიძის

სულის მოსახსენებლათ. (2119 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი:ცოლი მარიამ ანეპოდისტეს ასული წულუკიძისა შვილებითურთ—ვახტანგი, ზურაბი, ოლია, თამარა და სარა, ძმები: იაკინთე და ვარლამი შვილებით; რძლები ვალენტინა და მარიამი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ყველასათვის საყვარელ

ვანო ლუარსაბის ძე წულუკიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რაც მოხდა 27 მაისს 1920 წ. პანაშვიდი იქნება გადახდილი თფილისში დიდუბის ეკლესიაში 3 ივლისს დილის 10 საათზე. (2133 1—1)

სადურგლო და სახარაზო სახელოსნო ქალაქთა კავშირისა

იღებს დამზადებას ყოველგვარ ხის საგნებისა, სახელდობრ: სასკოლო, საკანცელარიო, საოჯახო მხატვრულ ავეჯეულობისა, ზღუეს (паркетъ) და კარ-ფანჯრის მოწყობილობისა. სახელოსნო იღებს აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მოწყობას. ცნობების მიღება და შეკვეთა შეიძლება ქალაქთა კავშირის სატეხნიკო და წარმოებათა განყოფილებაში პუშკინის ქუჩაზე, № 3. ტელ. № 8—10. (ნ. 4—4)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ხ. ქუთათელაძე.** (ნ. 15—14)

ამა წლის 3 ივლისს დღის სამ საათზე ქ. ოზურგეთში პირველ საქალაქო სკოლის შენობაში დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის გურიის სამაზრო

კომიტეტის საგანგებო სხდომა

მეტად საჩქაროთ და საჭირო საკითხის გამო, წევრთა დასწრება აუცილებელია. კომიტეტის წევრებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე წერილობითი მოხსენება ადგილობრივი მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე საწევრო და სამაისო ფულები.

განსაკუთრებულ საავტომობილო გუნდის უფროსი, ოფიცრებით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ ტრაგიკულად მოკლულ გენერალ

აბელ (ბალო) გაბრიელის ძე მაყაშვილისას.

პანაშვიდი დღეს 2 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე ალექსანდრე ნევის ეკლესიაში ნიკოლოზის ქუჩაზე. (2138—1—1)

კვირას, 4 ივლისს, დილის 10 საათზე მუშათა სასახლეში

(ყოფილი არამიანცის სახლი)

დანიშნულია სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი 1. მოხსენება მომენტზე, 2. მოხსენება გამგეობის, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიის, 4. მოხსენება % გამორიცხვის შესახებ, 5. მოხსენება სახალხო გვარდიის ყველა მუშა - მოსამსახურეთა. კავშირის სრულ უფლებიან წევრათ ჩარიცხვის შესახებ 6) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა და 7) მიმდინარე კითხვები.

წევრების დასწრება სავალდებულოა. **სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა.** (2125—3—1)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

განმეორებით მიმართავს პროვინციელ კომიტეტებს, რომელთაც ფრონტის დღეები მოაწყვეს ან შემოწირულებები შეკრიბეს და აგრეთვე ყველა დაწესებულებათა და კერძო პირთ დაუყონებლივ გადმოგზავნონ ფრონტის საჭიროებისათვის შეკრებილი ფული თუ ნივთები, შემოწირულებათა ასაკრეფი წიგნაკები და მოკლე ანგარიში.

ვინც 10 ივლისამდის არ წარმოადგენს ანგარიშსა და კომიტეტის ხვედრ შემოწირულებათა—ეს გარემოება ახსნილ იქნება, **როგორც ბოროტმოქმედება,** რასაც მოყვება კომიტეტის რევიზია.

მოქალაქეთ ვსთხოვთ გვაცნობონ თუ სად და ვის მიერ გროვდებოდა შემოწირულებები. საჭიროა კომიტეტს ეცნობოს აგრეთვე თუ სად, რამდენი და რა საჩუქრები გაეგზავნა მეომართ ფრონტზე მთავარი კომიტეტის შეუკითხავათ.

მისამართი: თფილისი, სასახლე, ფრონტის კომიტეტი.

(2132—2—1) **მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი.**

ქართველ მომღერალთა კავშირის გამგეობა ადგენს
საოპერო ამხანაგობას

რომელშიაც იწვევს მომღერალ ქალებს და მამაკაცებს. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ პირობების გასაგებათ კავშირის გამგეობაში—პეტრე დიდის ქ., სახლი № 8, მუდამ დღე 15 ივლისამდე, საღამოს 6½ ს.—8 საათამდე, რწმუნებულს ა. გ. სარაჯიშვილს. **გამგეობა.** (2128—1—1)

მუშტაიდის დემოკრატიული კლუბი

მგოსან **ნ. ჩხიკვაძის**

გარდაცვალების 40 დღის თავის აღსანიშნავად გაიმართება

საღიტერატურო საღამო

I

კავსაძის გუნდი შეასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

II

ი. გომართელი წაიკითხავს მოხსენებას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედების შესახებ.

III

ნ. ჩხიკვაძის დაუბეჭდავ ლექსებს წაიკითხავენ: **ი. ზარდალიშვილი, მ. ქიაურელი, შ. შარაშიძე.**

IV

საკუთარ ნაწარმოებთ წაიკითხავენ: **ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ობოლი მუშა ხ. ვარდოშვილი** და სხვ.

V

დასასრულ კავსაძის გუნდი შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

წმინდა შემოსავალი გადაეცემა ნ. ჩხიკვაძის ობლებს.

ბილეთები გაიყიდება დღეს, ივლისის 2-ს, კაფე „დარბაზში“ და კანტორა „განათლება“-ში და ხვალ, შაბათს, კლუბის თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი

იღებს საზებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

საზაფხულოთ წავიდა წალვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა. მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. (1989—10—5)

საქართველოს სენატის კანცელარიაში საჭიროა საწერ მანქანაზედ გადამწერი

მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს სენატის მდივანს დილის 10—12 საათამდის, 3 ივლისამდე. (2131—1—1)

ინგლის-რუსეთის ურთიერთობა

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, ლონდონის მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ კრასინთან, კონკრეტიულ სახეს ღებულობს. მოსკოვის „სოვნარკომს“ უკვე გაუცია ბრძანება, რომ უცხო სახელმწიფოთა გემებს შეუძლიათ თავისუფლად შევიდენ რუსეთის ზოგიერთ ნავთ-სადგურებში. რაც შეეხება ბალტიის ზღვის პორტებს, ბრძანება არის გაცემული, რომ ისიც მოკლე ხანში მოწყობილ იქნას უცხო სტუმრების მისაღებად. ამნაირად, რუსეთს მოხსნეს სამი წლის ბლოკადა და კომუნისტურ მთავრობას საშუალება ეძლევა შინაურ საქმეების მოწესრიგებაში გამოიჩინოს მთელი თავისი „აღმაშენებლობითი უნარი“.

უდიდესი გამარჯვება წილად ხვდა ამ ბლოკადის მოხსნის დროს საერთაშორისო პროლეტარიატს. მიუხედავად მისი დაშლისა, ეს იყო ერთად ერთი ძალა მთელს ევროპაში, რომელიც მუდმივ და მედგრად მოითხოვდა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას. დღეიდან კითხვა ახალ ნიადაგზე დგება. რა მოხდება: ევროპა გარუსდება, თუ რუსეთი გაევროპიელდება? არ ყოფილა უკანასკნელ დროის ისტორიაში მაგალითი, რომ რომელიმე ჩამორჩენილ ერს თავისი მსოფლ-მხედველობა მოეხვიოს თავზე მოწინავე და კულტურული ერისთვის. ძველად საფრანგეთში ამბობდენ: კაზაკი ფიზიკური ძალაა, ხოლო ფრანგი მორალური. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დემოკრატია უდიდესი მორალური ძალაა და იმავე დროს ფიზიკურიც. მისი გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს „მუშათა და გლეხთა“ რუსეთი. სხვა გზა მისი ხსნისთვის არ არსებობს.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა პირობებში ხდება ინგლის-რუსეთის შეთანხმება. უეჭველია, ხორციელდება ის, რასაც დიდი ხანია მოსკოვის მთავრობა ჰპირდება ინგლისის იმპერიალისტებს. ეს არის კონცესიები რუსეთის ზოგიერთ ბუნებრივ სიმდიდრეზედ და, მეორე მხრივ, ეს არის ცნობილი რადეკის წინადადება, გუშინდელ რუსულ „კომუნისტში“ მოთავსებული: „თუ ინგლისის მთავრობა წინადადებით მიმართავს საბჭოთა მთავრობას, რომ მოხდეს მოლაპარაკება მათ შორის ინგლისის სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზედ სპარსეთში, საბჭოთა მთავრობა უარს არ იტყოდა თავის შუამავლობაზედ ინგლისის მთავრობასა და სპარსეთის რევოლიუციის შორის“. აშკარაა, მოსკოვი დაჰპირებია ინგლისის მთავრობას, რომ ის დაიცავს მის „სასიცოცხლო“ ინტერესებს სპარსეთში. ჩვენ მოუცდით პირობების გამოქვეყნებას და იმედი გვაქვს, რომ მოსკოვის კომუნისტური მთავრობა არ შეიტანს ხელშეკრულობაში იდუმალ მუხლებს, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს ასე ხშირად მიმართავს ხოლმე მოსკოვის „სოვნარკომი“.

პრესა

„კომუნისტი“ არწმუნებს მკითხველებს, რომ სწორეთ მათ მოუპოვებიათ საქართველოსთვის დამოუკიდებლობა და სწორეთ მათ აჩუქეს დღეს დამოუკიდებელ საქართველოს ქ. ბათომი. თურმე საქართველოს დემოკრატიას კი არ მოუპოვებია ყველა ეს თავისი მაღალ შეგნებით და თავისი სისხლით, არამედ ყველა ეს **ნაბოძებია** რუსეთის მიერ. კერძოთ ბათომის გადმოცემის შესახებ „კომუნისტი“ ასე სწერს:

„ქ. ბათომი და ბათომის ოლქი გადადის საქართველოს ხელში, გადადის არა ინგლისის კეთილი სურვილით, არამედ თანახმათ ძლევამოსილი სოციალისტურ რუსეთის ნებისა საქართველოსთან ხელშეკრულობაში აღბეჭდილისა. ბათომის მხარის მცხოვრებლებს მარტო ბატონი კი არ უნდა გამოეცვალოთ ისინი უნდა გახდენ თავისუფალ მოქალაქეებათ ნამდვილათ თავისუფალ და ჭეშმარიტათ დამოუკიდებელი საქართველოსი, რომელსაც ემუქრება მხოლოდ, და მარტო ბურჟუაზიული იმპერიალიზმი, მოსისხლე მტერი ინტერნაციონალისტური პროლეტარიატის პოლიტიკისა“.

დიახ, ბათომის მცხოვრებლები ამიერიდან გახდებიან „ნამდვილ თავისუფალ მოქალაქეებათ ჭეშმარიტად დამო- [illegible] იმპერიალიზმი“, არამედ ჩრდილო კავკასიის, ადერბეიჯანის და ჩვენში შემორჩენილი „წითელი იმპერიალიზმიც“. ამ „წითელმა იმპერიალიზმმა“ სხვაზე ნაკლები აგიტაცია არ გასწია, სხვაზე ნაკლები ფული არ დახარჯა, რომ ბათომ-აჭარა ჩამოეშორებინა საქართველოსთვის და რუსეთისთვის დაებრუნებინა. და თუ დღეს კომუნისტები გულწრფელი მომხრენი გახდარან ბათომ-აჭარის საქართველოს ხელში გადასვლისა, მაშ იმედია ისინი ალაგმავენ აჭარაში მომქმედ ყაჩაღ პაიჭაძეს, რომელსაც აქამდის დიდს ფულს აძლევდენ საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციის მოსაწყობად.

⁂

„კომუნისტი“ ჩვენს გაზეთს „წინააღმდეგობაში“ იჭერს. ამ დღეებში ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ რეაქციის საფრთხე და გარეშე სახელმწიფოების შემოსევა ამაგრებს კომუნისტებს, რომლების გარშემოც ძალა-უნებურათ თავს იყრიან რუსეთის „ცოცხალი ძალები“. იმავე ნომერში ამხ. დევდარიანი ამბობდა, რომ „ბალშევიკების პოლიტიკას მხარს უჭერენ რუსეთის ნაძირალები, მექრთამეები, სპეკულიანტებიო“. „კომუნისტისთვის“ ხელსაყრელია, რომ ეს ორი აზრი მკითხველებს ერთი მეორის „წინააღმდეგობათ“ მოაჩვენონ: ამ გზით მას სურს ყური აარიდოს იმ მწარე სიმართლეს, რომელიც მოწინავე წერილშია გამოთქმული და რომელიც კიდევ უფრო მკაფიო ხდება ამხ. დევდარიანის წერილის დამატებით. ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის „ცოცხალი ძალები“, რომლებსაც **პოლიტიკურათ, იდეურათ** არაფერი აქვს ბალშევიზმთან, **ძალა-უნებურათ** უჭერენ მას მხარს იმ დროს, როდესაც ქვეყანას მოელის რეაქციის დაბრუნება, ან უცხო ძალის შემოსევა. ნორმალურ დროს, როდესაც ეს საფრთხე თავს არ იჩენს, კომუნისტებს იდეურათ და პოლიტიკურათ მხარს უჭერენ მხოლოდ „ნაძირალები, მექრთამეები, სპეკულიანტები“. აი თუ სიმართლე გნებავთ, ეს გახლავთ.

⁂

რუსულ ენაზედაც დაიწყეს კომუნისტებმა გაზეთის გამოცემა. რუსულმა „კომუნიზმ“-მაც ისეთივე ბაქიობით და ტრაბახობით დაიწყო თავისი მოღვაწეობა, როგორც ქართულმა.

„საკმარისი იყო რამდენიმე დღე ლეგალურათ გვემუშავა, რომ გამოგვეაშკარავებინა მენშევიკთა პარტიის მთელი უნიადაგობა და სისუსტე. მუშების და გლეხების მასსები აწყდებიან ჩვენს სარეგისტრაციო ბიუროებს. პროფ. კავშირები მთლიანად ჩვენს პლატფორმაზე გადმოდიან. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მენშევიკებს სრულებით არა აქვთ მაგარი დასაყრდნობი მასსებში“.

რუსულ „კომუნისტის“ უბედურება ის არის, რომ კომუნისტების ასეთი ტრაბახი გვესმის საქართ. დამოუკიდებლობის პირველ დღიდანვე. ამ ტრაბახს იგი არავითარ ფაქტებით არ ასაბუთებს: არ ამბობს, მაგ., რომელი პროფეს. კავშირი გადავიდა ბალშევიკურ პლატფორმაზე, ან საიდან გამოაშკარავდა მენშევიკების უნიადაგობა და ბალშევიკების ნიადაგიანობა. იქნება ეს იქიდან ჩანს, რომ შეიარაღებული აჯანყების მომწყობ ბალშევიკებს გლეხები და მუშები თითონ იჭერენ და ადმინისტრაციას ზომების მიღება სჭირდება, რომ მათ არ დაატყდეთ მათზე გაბოროტებული მუშების და გლეხების მთელი რისხვა?

საერთაშორისო კაოსი და გამოსავალი გზა

დღევანდელ პირობებში ყოველი სახელმწიფოს დიდის თუ პატარასი, ბედი დამოკიდებულია ორი ძალისაგან. ერთი არის მისი შინაური მდგომარეობა, როგორც შედეგი საზოგადოების ძალთა ურთი-ერთობისა, მეორე არის საერთაშორისო მდგომარეობა და მისგან გამოწვეული სოციალურ—პოლიტიკური ვითარება. თუ პირველი უფრო ადვილი დასანახავია და საერთო ანალიზს ადვილად ემორჩილება თავის შედარებითი სიმარტივის გამო, მეორე უფრო რთულია და მისი ყოველდღიურ საზოგადოებრივ მოვლენაზედ გავლენის გაგება არც ისე ადვილია. მიუხედავად ამისა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გადამჭრელი ადგილი ეკუთვნის დღეს ყოველი დამოუკიდებელი ერის ცხოვრებაში.

დარჩება ინგლისი—მაგ. ბათუმში, თუ წავა, დაიჭერს კავშირს ქემალ-ფაშა მოსკოვის მთავრობასთან, თუ ფარულად შეუთანხმდება საფრანგეთს ინგლისის წინააღმდეგ, აიღებს პილსუდსკი კიევს, თუ საბჭოთა ჯარი შევა ვილნაში და ათასი სხვა ისტორიული მოვლენები დამოკიდებულია, როგორც ზევით ვსთქვით, არა მარტო ამა თუ იმ სახელმწიფოს შინაურ ძალებზედ, არამედ საერთაშორეობით გამოწვეულ ინტერესთა წინააღმდეგობაზედ. დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობაზედ რკინის კანონის სიძლიერით მოქმედებს სამი ისტორიული მოვლენა. პირველი არის მსოფლიო ომის გათავება სხვა და სხვა საზავო ხელშეკრულობებით და განსაკუთრებით ვერსალის ზავით, მეორე უმთავრესად ომის მიერ გამოწვეული რევოლიუციები და სოციალისტურ პროლეტარიატის როლი ამ რევოლიუციებში, მესამე ახალი ნაციონალური სახელმწიფოების დაარსება და საერთოდ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება.

მართალია, მსოფლიო ომი თითქოს ზავით დამთავრდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს ზავი არსებობს მხოლოდ ქაღალდზედ და თვით ზავის პირობები ომის ახალი მეთოდით გაგრძელებაა. მოკავშირე სახელმწიფოების ლოზუნგი ომის დროს იყო შემდეგი: „ეს ომი იქნება უკანასკნელი ომი. ომით უნდა მოვკლათ ომიო“. ამ მითოლოგიამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის დემოკრატიაზედ და მის მატარებელ მუშათა კლასსზე. იდეა „უკანასკნელი ომის“ იყო ის დროშა, რომლის გარშემო თავს უყრიდენ გაბატონებული კლასები თავის მატერიალურ ძალას. ამ ნაირად სავსებით გამართლდა დიდებული ტრიბუნის—ჟორესის აზრი, თუმც სულ სხვა სახით,—რომ დღევანდელ ომს უნდა ასპეტაკებდეს რამე თანამედროვე საკაცობრიო იდეალიო. რაც შეეხება ბურჟუაზიულ წრეებს, მათი მერკანტილურ სულისკვეთებას სრულებით ეგუებოდა მეორე საპროპაგანდო განცხადება: „დამნაშავე გადიხდის მთელ ომის ზარალს და დიდ ჯარიმასაცო“. ომის დამთავრებას პირველი დაპირების შესრულება მოინდომეს ხალხთა ლიგის დაარსებით, ხოლო მეორესი იმ აუარებელი კონტრიბუციით, რომელიც დაადვეს უმთავრესად გერმანიას. რა შედეგი მოყვა ამას? ხალხთა ლიგა ახდენს მის სხდომებს სხვა და სხვა ქალაქებში, თითქოს „ტურისტი“ იყოს და იმუშავებს ახალ-ახალს, გარეგნულად მომხიბლავ, იურიდიულ ფორმულებს. მსოფლიო ომს კი დასასრული არ უჩანს. ან როგორ უნდა დასრულდეს ის, როდესაც თითქმის მთელი გერმანიის ხალხი არ ემორჩილება ვერსალის ხელშეკრულობას და მთელი თავისი სულიერი განცდით საომარ მდგომარეობაში იმყოფება ზოგიერთ მოკავშირე სახელმწიფოებთან. საფრანგეთი მოუთმენლად მოელის გერმანიის მიერ ზარალის ანაზღაურებას, ხოლო გერმანია უცდის მარჯვე შემთხვევას, რომ თავიდან აიცილოს პირობების ასრულება. ვერსალის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება თვით მოკავშირეთა შორის იწვევს აზრთა წინააღმდეგობას. ამერიკამ ის არ დაამტკიცა, იტალიის პარლამენტს ის არ განუხილავს. იაპო-

დღეს

ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოზე გადაცემის გამო მთავრობამ და რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდალმა—გენ. კვინიტაძემ განსაკუთრებულ მოწოდებებით მიმართეს ბათომის ოლქისა და აჭარის მცხოვრებთ.

——

ბალშევიკურ ცნობების თანახმათ ბელგიამ ეკონომიური დამოკიდებულება განაახლა საბჭოთა რუსეთთან.

ფრანგულ პრესის ცნობით ბრიუსელის კონფერენცია 2 ივლისს გაიხსნება. კონფერენციის მთავარი მიზანია გერმანიის კონტრიბუციის განაწილება მოკავშირეთა შორის.

——

გენერალური შტაბის ცნობები.

1 ივლისი.

ინგლისის სამხედრო სარდლობის თანახმათ 1 ივლისიდან დაიწყო ჩვენი ჯარების წინსვლა ბათომის ოლქის დასაკავებლად. დილის 4 საათსა 30 წუთზე ჯარებმა უინციდენტოთ ნატანებ-ქობულეთის რკ. გზის ხაზი, სადგ. ქობულეთი და კინტრიშის ხიდი დაიჭირეს. ჩვენი ჯარებისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

სხვა მიმართულებაზე სიწყნარეა.

ნია ამაზედ სულ არ ფიქრობს, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მას ალმაცერად უყურებს. ვერსალის ხელშეკრულობა მიუგდეს საფრანგეთს და უთხრეს: იტირე, დიდი თავი გაქვსო. ომით გამოწვეული სამხედრო კავშირი დაინგრა და ანტანტა ფაქტიურად დაშლილი დახვდა იმ რევოლიუციონურ ტალღებს, რომელიც რუსეთს და საშუალო ევროპას მოედო. ჩვენთვის საინტერესოა ზოგიერთი ეპიზოდები მოკავშირეთა დამოკიდებულებიდან ამ რევოლიუციონურ ქვეყნებთან. ავიღოთ რუსეთი და უკანასკნელი მოლაპარაკება კრასინ-ლოიდ-ჯორჯის. ჩვენ გვახსოვს, თუ რა დიდი ვაი-ვაგლახით მიიღო ინგლისის პრემიერმა რეაქციის დროს რუსეთის ოპოზიციონურ ლიბერალიზმის წარმომადგენელი. დღეს ინგლისის „პირველი", როგორც მას უწოდებენ, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს ელაპარაკება და მასთან რაღაც ხელშეკრულობის პირობებს იმუშავებს. ორივე მხარემ აშკარად იცის, რომ ერთმანეთს ატყუებენ. კრასინს არაფერი სჯერა ინგლისის მთავრობის, ხოლო რაც შეეხება ლოიდ ჯორჯს, ის ხომ ინგლისის გაწვრთნილ და კულტურულ მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებს არ სთვლის მომწიფებულად, რომ მართვა-გამგეობა აიღონ ხელში. რუსეთის კომუნისტებზედ ის უკეთესი წარმოდგენის ვერ იქნება. საფრანგეთის პრესა. გაბოროტებულია ამ მოლაპარაკებით. გერმანიიდან საფრანგეთი ანაზღაურებას ვერ ღებულობს და თავისი ფულებიც ეკარგება რუსეთის გადაუვალ მინდვრებში. საფრანგეთს რუსეთის საქმეებში დასვენების თეორია არ სწამს, მისი სანტიები, რუსეთის, ქაღალდის მქონენი მოუსვენარი ხალხია. ლოიდ-ჯორჯი მომხრეა დასვენების, მას მხარს უჭერს არა მარტო ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც პრინციპიალური მომხრეა რუსეთთან ზავის, არამედ ლიბერალური [illegible] იტალიის ხარჯზედ და ფიქრობს ცოტა რამეს ჩამორჩეს საბჭოთა რუსეთსაც.

მეორე მხრით გერმანიაში, კამპის მეთაურობით მომხდარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების დროს, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა აქტიურ ჩარევას მეზობელ რესპუბლიკის შინაურ საქმეებში კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ძველი პან-გერმანისტების დაბრუნებას ის შიშის თვალით უცქეროდა, რადგანაც მოსალოდნელი იყო ახალი ომის დაწყება და ახლა ამერიკა-ინგლისი, რასაკვირველია, არ მოეშველებოდა საფრანგეთს, ამ ნაირად, თუ საფრანგეთის პრესა რუსეთში მარტო დენიკინს და კოლჩაკს უჭერდა მხარს, გერმანიაში ის თითქოს რადიკალ რესპუბლიკანელებს თანაუგრძნობდა. ინგლისის პრესა კი თავს არ იწუხებდა გერმანიის ამბებით, რადგანაც განადგურებული გერმანია არ იყო მისთვის საშიში, არც საკუთარ კუნძულზედ და არც შორეულ აზიაში. სამაგიეროდ ინგლისის ლიბერალიზმი და კონსერვატორების ნაწილიც დიდის სიმპატიით არას დროს არ უცქეროდა რუსეთის რეაქციის გამარჯვებას. ორივე ქვეყნის რევოლიუცია—რუსეთ-გერმანიის — განსაკუთრებულ დაღს ასვამს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების არა მარტო საგარეო, არამედ შინაურ პოლიტიკასაც, იტალიის ახალი მთავრობის განცხადება, რომ ის თანახმა არის წარმოებაზე მუშების კანტროლის შემოღების—მუშათა საქარხნო კომიტეტების საშუალებით—შედეგია არა მარტო შინაური ოპოზიციონური მოძრაობის, არამედ იმ რევოლიუციონური პროცესის, რომელშიაც ფორმალურად იმყოფება თითქმის ნახევარი კაცობრიობა. საფრანგეთის მთავრობის სასტიკი გამოსვლები ადგილობრივ მუშათა კავშირების წინააღმდეგ შედეგია არა ამ კავშირების დღევანდელი სიძლიერის, არამედ რევოლიუციონურ და უკაყოფილო გერმანიის მეზობლობის.

მესამე მოვლენა, რომელიც შესამჩნევ გავლენას ახდენს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაზე—ეს არის ძლიერი ნაციონალური მოძრაობა. რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის რევოლიუციამ ბევრი დაჩაგრული ერები გაანთავისუფლა. ზოგი მათგანი დემოკრატიულად მოეწყო, ხოლო ზოგიერთი ფეოდალურ-ლიბერალურ ფარგლებს არ გასცილებია. არის მეორე მხარეც. ყველა ამ ერებს გამოუჩნდა ახალი სადაო საკითხები, განსაკუთრებით საზღვრების შესახებ და მის გადასაჭრელად ხშირად მიმართავენ ისინი უკანასკნელ საბუთს—იარაღს. ამით ომის მიერ მოშლილი მსოფლიო მეურნეობა კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარდება. მეორე მხრივ, ახალი ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა მიმხიდველ მაგალითად ხდება ზოგიერთ დაჩაგრულ ერებისთვის, და იქაც იწყება ძლიერი, და ჩვენის აზრით, უძლეველი ეროვნული მოძრაობა. ასეთი მდგომარეობაა, მაგ. ირლანდიაში. სხვაგან ახლად წარმოშობილი სახელმწიფო თვითონვე ადგება აშკარა იმპერიალისტურ გზას, მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება მშვი-[illegible] ასეთ მდგომარეობაშია, მაგ. პოლონეთი.

ამ ნაირად, ყველა ეს უკანასკნელი დროის ღირსშესანიშნავი მოვლენები—ვერსალის ზავი, რევოლიუციონური პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში, ნაციონალური მოძრაობა—(თავი რომ დავანებოთ ეკონომიურ მდგომარეობას) მეტად ართულებს საერთაშორისო ურთიერთობას და ამ მსოფლიო ქაოსის დროს საშუალებას აძლევს მუშათა მოძრაობას ფართოდ გაშალოს ფრთები. ყოველნაირი ძველი გზა იყო ნაცადი, გაზეთ „ტანის" თქმით, ამ ქაოტიურ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ვერც ერთმა მიზანს ვერ მიაღწია. დარჩა ერთი გზა—ეს არის მოწინავე ქვეყნის მუშების მიერ ძალა-უფლების ხელში აღება. საერთაშორისო დახლართული მდგომარეობა ამას მოითხოვს. რაც უფრო შეკავშირებული იქნება საერთაშორისო მუშათა რაზმები და რაც უფრო ნაკლები ადგილი ექნება მათ შორის შინაურ, ხშირად უნიადაგო ბრძოლას, მით უფრო ადვილად მოხდება ძველი ურთიერთობის და მისგან დარჩენილ არა ნორმალურ მემკვიდრეობის მონელება.

ბ. თეკლათელი.

ბათომის დაბრუნება

(საქართ. დეპეშ. სააგ.)

მთავრობის მიმართვა ბათომის ოლქის მცხოვრებთადმი.

სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა. ინგლისმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ბათომი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს სამუდამოთ.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენ ძმობა-ერთობას ჰყავდა გარეშე მტრები. ასეთივე თითო-ოროლა შეგნებული, თუ შეუგნებელი მტერი შიგნითაც გვყავდა და შეიძლება დღესაც არიან. ეს მოსყიდული აგენტები ავრცელებდენ თქვენს შორის ხმებს, თითქოს საქართველოს რესპუბლიკა დასჩაგრავს და შეურაცხყოფს თქვენს სარწმუნოებას და ადათს. ამ მოღალატეებმა კიდეც მიაღწიეს რამდენიმეთ თავის მიზანს, გააბრიყვეს ზოგი თქვენგანი და ძმას ძმის სისხლი დააღვრევინეს. ეხლა ეს ბნელი პირები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საქართველოს რესპუბლიკა მოდის ბათომის მხარეში სისხლის ასაღებათ. ეს ტყუილია.

საქართველოს მთავრობა გადაჭრით და საჯაროთ აცხადებს, რომ ყოველგვარი დანაშაული საქართველოს წინააღმდეგ ამ დრომდე ჩადენილი ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ, პატიებულია, მისთვის პასუხს არავინ აგებს, თუ ეს პირნი ამიერიდან არ გაიმეორებენ თავის შეცდომას.

მაგრამ თუ ვინმე აღუდგა წინ ხალხის ნება-სურვილს, მთავარ სარდალს ნაბრძანები აქვს მიიღოს უსასტიკესი ზომები ასეთი ბნელ ძალების წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკა მოდის თქვენთან და თან მოაქვს მშვიდობა და ძმური სიყვარული. რესპუბლიკის მხედრობა მოდის თქვენთან წესიერების დასამყარებლად, ავკაცობის მოსასპობად, ფუხარა ხალხის დასაცავად და თქვენი თავისუფალი ცხოვრების განსამტკიცებლათ. ყველამ თავთავის ადგილზე მშვიდობიან მუშაობით ხელი შეუწყვეთ ახალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დაწყებას. არ აყვეთ ბოროტ ხმებს, რომელსაც თქვენი და ჩვენი მოსისხლე მტრები ავრცელებენ.

სრული ამნისტია წარსულისათვის! ძმობა, ერთობა, თავისუფლების განმტკიცება მომავალისათვის,—აი რა აზრით მოდის საქართველოს დემოკრატიული ჯარი და სახალხო გვარდია რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილში—ბათომის ოლქში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

——

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლის მიმართვა აჭარის მცხოვრებთადმი.

აჭარის მცხოვრებნო.

შეთანხმების სახელმწიფოების გარდაწყვეტილებით, ინგლისთან შეთანხმებით და საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით, ქალაქი ბათომი და ბათომის ოლქი გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას. საქართველოს მთავრობის ბრძანებით მე ჯარებით შემოვდივარ ბათომის ოლქში.

დემოკრატიულ საქართველოს მთავრობამ თქვენ უკვე გამცნოთ თავისი გარდაწყვეტილება. კაცთმოყვარეობის და ჰუმანობის აზრით და აგრეთვე თქვენთვის ომის ყველა საშინელებათა თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ არ გაუწიოთ წინააღმდეგობა ჩვენი ჯარის შემოსვლას ოლქში და არ დაიწყოთ ომი თქვენი ძმების, ქართველების წინააღმდეგ.

საქართველოს ჯარები არავის ხელს არ ახლებენ, არავის არ აწყენინებენ. პირიქით, ისინი დაიცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ ყაჩაღებისაგან, მძარცველებისაგან და ყველა იმათგან, ვინც თქვენ გაქეზებთ ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ თუ თქვენ წინააღმდეგობა გაიწიეთ, მაშინ თქვენ მოგელით ღვთის რისხვასავით მკაცრი დასჯა საქართველოს ჯარისაგან მთელი თავისი საშინელებით.

ვინც იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევს ჯარს, მას მოეპყრობიან როგორც მოჯანყეს და ის მაშინვე დახვრეტილ იქნება. მისი ადგილ-მამული და ქონება, აგრეთვე მამული მამისა, დედისა და ძმებისა ჩამორთმეულ იქნება და ჩაირიცხება სახაზინოდ, ხოლო ოჯახი კი მთლად გაგდებულ იქნება ბათომის ოლქის საზღვრებიდან.

ის სოფელი, საიდანაც თოფი გავარდება, გარშემორტყმულ იქნება და სასტიკად დაისჯება.

მშვიდობიანი მუშაობის შესაძლებლობა, კეთილდღეობა და თვით თქვენი ბედი თქვენს ხელთ არის. გახსოვდეთ ეს ჩემი გაფრთხილება.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდალი **გენერალი კვინიტაძე.**

——

ბათომი (საკ. კორ.). კუკ-კოლისის განკარგულებით ოლქში გაიგზავნა ინგლისის ოფიცრები მთარგმნელებით იმ მიზნით, რომ ხალხს აუწყონ ანტანტის ნებასურვილი ბათომისა და მისი ოლქის საქართველოზე გადაცემის შესახებ. მცხოვრებლები ამ ცნობების გამომქვეყნებას სრულის თანაგრძნობით შეხვდენ. ზემო აჭარის ყაჩაღთა ბრბო იძულებულია თავისი ლიკვიდაცია მოახდინოს.

ბათომი. 1 ივლისი, (საკ. კორ.). ბათომში მოვიდენ დამფუძნებელი კრების წევრები: საყვარელიძე, ფირცხალავა, ტოპჩია და ვეშაპელი, რათა მცხოვრებლებისათვის ემცნოთ ანტანტის მიერ ბათომისა და მისი ოლქის გადაცემა. ამ ცნობას ადგილობრივი მცხოვრებლები ზეიმით შეხვდენ. ადგილობრივ ქართველებს შორის დიდი აღფრთოვანებაა. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან ჩვენს ჯარს და ემზადებიან საზეიმო შესახვედრათ. აირჩიეს კომისია დღესასწაულის მოსაწყობათ. ამასთანავე აიწია ქართული მანეთის კურსმაც.

„წითელ" ადერბეიჯანში

„კონტრ-რევოლიუციის ჩაქრობა". ბაქოს „კომუნისტ"-ში (№ 43, 23 ივნისი) მოყვანილია ლევანდოვსკის მოხსენება [illegible]ხებ ადერბეიჯანში, რომელიც მან გააკეთა მუშ., გლეხთა და მეზღვაურთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე. მოგვყავს შემოკლებით ზოგიერთი ალაგები მოხსენებიდან: „აჯანყებები, რასაც ალაგი ჰქონია ტერტერში, განჯაში, ზაქათალის ოლქში და ყარაბაღში, არ იყო შემთხვევითი ხასიათის აჯანყებები. აჯანყებებს წინ უძღოდა დიდი წინასწარი მზადება. უკმაყოფილოები ფართო აგიტაციას ეწეოდენ მუსულმანურ ნაწილებში და მცხოვრებლებში წითელი არმიის წინააღმდეგ. პირველი თავდასხმა წითელ ჯარზე მოხდა ტერტერში; რის შემდეგ ნური-ფაშისა და ადერბეიჯანის ჯარების სარდლობის საერთო ხელმძღვანელობით მოხდა საერთო გამოსვლა ყარაბაღში. მცხოვრებნი იცავდენ თავიანთ სახლებს, მეჩეთებსა და ყურანს ბალშევიკებისაგან. ყველას სწამდა, რომ საბჭოთა მთავრობა მოვიდა იმიტომ, რომ ადერბეიჯანი დაეპყრო რუსეთისათვის, გაეჟლიტა მთელი მუსულმანობა. რათა ჩაგვექრო ეს ამბოხება, პირველ ხანებში იქ ხმარებულ იქნა უსასტიკესი რეპრესიული ზომები; მთელი სოფლების განადგურებაც კი მოგვიხდა, განსაკუთრებით იმ სოფლების, რომლებიც წითელი ჯარის წინააღმდეგ აჯანყდენ. ქალაქ განჯიდან გადარჩა მხოლოდ ერთი ნახევარი, დანარჩენი დანგრეულია, მცხოვრებნი დახვრეტილნი არიან; აჯანყებულებმა დაჰკარგეს 3—4 ათასამდე კაცი მოკლულების სახით. გაცილებით უფრო ძნელი შეიქნა ამბოხების ჩაქრობა ყარაბაღის რაიონში, სადაც მოძრაობამ ნაციონალური ხასიათი მიიღო. წითელ არმიელები წინეთ საკმაო ანგარიშს არ უწევდენ ადგილობრივ მუსულმანთა ტრადიციებს. გაგზავნილ იქნა ჯარის ნაწილებში აგიტატორები, რომლებმაც აუხსნეს წითელ არმიელებს, თუ როგორ უნდა დაიჭირონ თავი მუსულმანებთან. მალე ხალხი დარწმუნდა, რომ წითელი არმია არ მიდიოდა მის გასანადგურებლათ; „იგი მხოლოდ ართმევდა სახლის ავეჯეულობას და სხვა სიმდიდრეს ბეგებსა და ხანებს და ანაწილებდა ღარიბთა შორის". ჰაეროპლანებიდან ჩამოყრილ ბომბებმა გაანადგურა აგდაში, სადაც თავმოყრილი იყო 4 ათასამდე რეგულიარული ჯარი აჯანყებულებისა. ამის შემდეგ ადვილათ იქნა დაკავებული ქ. შუშაც, რომელიც დიდ ციხე სიმაგრეს წარმოადგენს; ნური-ფაშა, ზეინალი და სხვ. იძულებული გახდენ გაქცეულიყვნენ. ამით მოხდა კონტრ-რევოლიუციის ლიკვიდაცია მთელ ყარაბაღში. მუსულმანობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე ის ხმები, თითქოს წითელი ჯარი მოვიდა მოლლების გასანადგურებლათ ისე, როგორც მან გაანადგურა მღვდლები რუსეთში. ამ ხმებს ჩვენ გამოვაცალეთ ყოველგვარი საფუძველი იმით, რომ აგდამში გავანთავისუფლეთ ერთი მოლლა, რომელიც ბალშევიკი იყო. ჩვენ განვაცხადეთ, რომ თუ მოლლა არ იქნება განთავისუფლებული, დავხვრეტთ 200 კაცსაო. „ხალხი ხედავდა, რომ ჩვენ ვიცავდით მოლლებს,—მაგრამ ეს მოლლა, რასაკვირველია, ბალშევიკი იყო". ამის შემდეგ ჩვენსკენ იწყეს გადმოსვლა აუარებელმა მოლებმა, რამაც დიდი როლი ითამაშა აჯანყებების ჩაქრობაში.

მიწის საკითხი სავსებით არ იყო გადაწყვეტილი. „ეხლა კი, აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ, წითელ არმიელები სამხედრო ნაწილების კომისრები და, აფიცრობაც კი სწყვეტენ ადგილობრივად მიწის საკითხს: ანაწილებენ მიწებს, ნათესებს და ამტკიცებენ საბჭოთა მთავრობას"... „ეხლა უნდა განვამტკიცოთ რევოლიუციის მონაპოვარნი, მით უმეტეს, რომ ადერბეიჯანში დარჩა მხოლოდ ხალხის ულტაკესი ნაწილი".

აჯანყებებს ლევანდოვსკი, სხვათა შორის, იმით ხსნის, რომ ადერბეიჯანის ჯარს „არ განუცდია სამოქალაქო გადატრიალება, არ უგემია ის ძირითადი რეფორმები, რაც ჯარმა განვლო იქ, რუსეთში". ამიტომ საჭირო შეიქნა ადერბეიჯანის ჯარის ყველა ნაწილების დემობილიზაცია და ხელ-ახალი მოწყობა მოხალისეთაგან „წითელ არმიის" რაზმებისა. მიღებულ ზომებით, იმედოვნებს დასასრულ ლევანდოვსკი, დამყარებული იქნება ადერბეიჯანში მშვიდობიანობა 3—4 თვით მაინც.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 ივლისი.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 1 ივლისი. სამხედრო ცნობა. ხანგრძლივ მწვავე ბრძოლის შემდეგ 29 ივნისს ჩვენმა სახელოვანმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი მოზირი. როვნოს მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომელთაც დასძლიეს მოპირდაპირის წინააღმდეგობა, გამოვიდენ იმ სოფლების ხაზზე, რომლებიც როვნოს აღმოსავლეთით 50 ვერ. და შეპეტოვკის აღმოსავლეთით 15 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ყირიმის რაიონში ოპხოვსა და ბერდიანსკის შუა მდებარე სადგურთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოპირდაპირის დონის კორპუსის დიდი ნაწილი დაამარცხა და 500 ტყვე წამოიყვანა. ჩვენი ჯარები ამ რაიონში მტერს ავიწროებენ.

მონასტერი ბავშვთა თავშესაფერი.

სოფიის მონასტერი, რომელიც ტამბოვის გუბერნიაში მდებარეობს, ბავშვთა თავშესაფარად გადააკეთეს. მონოზნები მონასტრიდან გადაასახლეს.

დეზერტირების მობილიზაცია.

სმოლენსკი. საბჭოთა ყრილობამ ყველა შრომის ფრონტიდან გაქცეულ დეზერტირების მობილიზაცია გაატარა.

გაფიცვა იტალიაში.

ორი დღის განმავლობაში იტალიაში მუშებსა და მთავრობის ჯარებს შორის შეიარაღებული შეტაკება ხდებოდა. მუშების გამოსვლა ჩააქრეს, მაგრამ ამის [illegible] გამოცხადდა.

გერმანია და რუსეთი.

გერმანელ სოციალისტებს პარლამენტში შეკითხვა შეაქვთ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა და საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

არეულობა ბრემენში და სხვ.

საქსონიის მთავრობამ დაითხოვა მრავალი საბჭო. ბრემენში, მაინცში და სხვა ქალაქებში უსურსათობის ნიადაგზე არეულობა დაიწყო.

პოლონეთის პროფ. კავშირის მოთხოვნილება.

პოლონეთის პროფესიონალურ კავშირების ყრილობამ მთავრობას დელეგაცია გაუგზავნა მოთხოვნილებით, რომ მან კავშირის დაჭერილი წევრები გაანთავისუფლოს.

ბელგია და საბჭოთა რუსეთი.

ბელგიამ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება განაახლა. დიპლომატიურ დამოკიდებულების საკითხი ჯერჯერობით ღიათ დარჩა.

ფრანგული ცნობები.

ნახშირისა და კოკსის მიზიდვა.

ნახშირისა და კოკსის მიზიდვამ ლორენში შესაძლებელი გახადა სალითონო ქარხნების მუშაობის გაძლიერება.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენცია 2 ივლისისთვის არის დანიშნული. კონფერენციის მთავარი საკითხია: მოკავშირეთა შორის გერმანიის კონტრიბუციის განაწილება. კონფერენციის შემდეგ დელეგატები სპაში გაემგზავრებიან. ბრიუსელის კონფერენციაზე იტალია წარდგენილი იქნება მხოლოდ ერთი პირის, გრაფ სფორცას სახით.

ხალხთა ლიგა და მოკავშირენი.

საფრანგეთის პარლამენტმა, სწერს „ჟურნალი დე ჟენევი", ხალხთა ლიგის სასარგებლოთ კენჭი უყარა დიდ კრედიტსო. ამის გარდა მოკავშირეები კოლექტიურათ გამოვიდენ პრეზიდენტ ვილსონის წინაშე. მოკავშირეები ხალხთა ლიგის ყრილობის მოწვევას მოითხოვენ. შვეციის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური უწყება, რომელშიაც ის აცხადებს, რომ იგი ღებულობს უმაღლეს საერთაშორისო ინსტანციის შუამდგომლობას ალანდიის კუნძულების საკითხში. მიმდინარე თვის განმავლობაში მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც აუცილებლად აიძულებს ყველა ქვეყნის მთავრობებს გამოიჩინონ ხალხთა ახალ ასოციაციასთან თავისი დამოკიდებულება. მერყეობის ხანა სამუდამოთ წავიდა, და ჩვენ პირველ განხორციელებათა ხანაში შევდივართ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესი, თავის მუშაობის დათავებამდე, სამშაბათს საზოგადოებრივი საქმეების მინისტრის თავმჯდომარეობით შეიკრიბა. მრავალმა ორატორმა აზრი გამოსთქვა, რათა დაარსდეს ისეთი ორგანო, რომელიც გააერთიანებს მოკავშირეთა ზომებს: განადგურებულ ოლქების აღსადგენათ, ბირჟის საკანტროლოდ და უკანონო კონკურენციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რობინსონი დემოკრატიულ პარტიის კონვენტის თავმჯდომარეთ.

სან-ფრანცისკოში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კონვენტის თავმჯდომარეთ დაინიშნა რობინსონი.

საარტილერიო სკოლა.

პრაგიდან იუწყებიან: მილოვიჩში ოფიცერთა საარტილერიო სკოლის ახალგაზრდათა პირველ გაშვების დროს მიღებულ შედეგების გამო პრეზიდენტმა მასარიკმა თავისი კმაყოფილება გამოსთქვა და მადლობა გადაუხადა საფრანგეთის ინსტრუქტორებს. მან სთქვა, რომ საფრანგეთი პირველი დაეხმარა ჩეხო-სლოვაკიის არმიის შედგენასა და წინ გაძღოლის საქმეში.

იაპონიის წარმომადგენელნი ბრიუსელის კონგრესზე.

ბრიუსელში იაპონიის წარმომადგენლებათ იქნებიან: ლონდონში მყოფი ელჩი ვიკონტ შინდა და ფინანსიური მრჩეველი სპაში და ბრიუსელში კენგო მორი.

ხალხთა ლიგის კონფერენცია.

ხალხთა ლიგის საბჭომ 23 ივნისს ბრიუსელში საერთაშორისო კონფერენციის ყრილობა დანიშნა გერმანიის კონტრიბუციის საბოლოოდ გამოსარკვევათ და მისი გადახდის საშუალების გამოსანახავათ. ფინანსიური კონფერენცია განიხილავს საერთაშორისო სესხის გამოშვების, ფულის ტრიალის გაჯანსაღებისა და ვალიუტის აწევის საკითხს. იაპონიის მხრივ იქნებიან: კენგო მორი და კუოიი ტამსუნი, იოკოგამის ბანკის დირექტორი.

იტალიის სამეფოს პოლიტიკურ სააგენტოს რადიო-ცნობები.

1 ივლისი.

გენუა. 29. საერთაშორისო საზღვაო კონფერენციამ მოიწონა მომავალ კონფერენციის დღიურ წესრიგში შეტანილი საკითხი სამანქანო განყოფილებაში 18 წ. ახალგაზდების მუშაობის აკრძალვის შესახებ. უკვე აკრძალულია მუშაობა აღნიშნულ განყოფილებებში 17 წელზე უფრო ახალგაზრდათვის. იტალიის დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ ყველა მცირე წლოვანნი, რომლებიც გემებზე იმუშავებენ, ექიმის მიერ იქნენ შემოწმებულნი.

პარიზი. 29. ერთა ლიგის საბჭომ 23 ივლისისათვის ბრიუსელში დანიშნა სხდომა საერთაშორისო ფინანსიური კომისიისა.

რომი. 29. საგარეო საქმეთა მინისტრი სფორცა გაემგზავრა ბრიუსელის კონფერენციაზე.

ბათომი, ივლ. 1. დილით რესპუბლიკის ჯარები ქობულეთში შევიდენ. აღფრთოვანებით შეეგებენ მათ. დაესწრენ ინგლისელები. მოხდა აღლუმი, [illegible]

თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

1 ივლისი.

კონსტანტინოპოლი. სპარსეთის მთავრობამ ხალხთა ლიგას შუამდგომლობით მიმართა ჩაერიოს სპარსეთის საქმეებში და არ მისცეს საშვალება ბალშევიკებს სპარსეთში აგრესიულ მოქმედების განგრძობისა.

პარიზი. ელჩთა კონფერენციამ უმაღლეს საბჭოს პროექტი—ევროპის რკინის გზათა მოძრავ შემადგენლობის აღწერის შესახებ—სასწრაფოდ განსახორციელებლად სცნო.

ჟენევა. შვეიცარია ტურისტების მცირე რიცხოვანობის გამო მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას განიცდის. ფასები კატასტროფიულად დაეცა. შენიშნულია აგრეთვე ექსპორტის შემცირება.

კონსტანტინოპოლი. პირველ ივლისს კონსტანტინოპოლ-პარიზს შორის დაიწყება ექსპრესით მიმოსვლა. ბილეთი კონსტანტინოპოლიდან პარიზამდე 1200 ფრანკი ეღირება.

ლონდონი. ხალხთა ლიგის მსჯელობის საგანი არის სპარსეთის მდგომარეობა. გადაწყდა: იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვიდან არ მიიღებენ ცნობას იმის შესახებ, თუ ბალშევიკებს რა გეგმა აქვთ სპარსეთში ხალხთა ლიგა სპარსეთის საქმეებში ჩაერიოს. ხალხთა ლიგაში სპარსეთის პოლიტიკის საკითხის შესახებ გამოვა ლოიდ ჯორჯი.

კონსტანტინოპოლი. დიდი ვეზირი ფერიდ-ფაშა პარიზში იმ მიზნით გაემგზავრა, რომ საბერძნეთთან გამართოს პირდაპირი მოლაპარაკება ადრიანოპოლის და სმირნის გარშემო საბერძნეთის გავლენაზე კომპრომისის შესამუშავებლად.

ლონდონი. გაზ. „დეილი ხრონიკლი" იუწყება ბენეტის მიერ გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზე შეტანილ შეკითხვის შესახებ: იცის თუ არა ბრიტანიის მთავრობამ, თუ როგორია საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება მოკავშირეების ვალის აღიარებასთან? რისთვის არის დაწყებული მოლაპარაკება, როდესაც რუსეთში მყოფი ინგლისელი ტყვეები იძულებით მონურ სამუშაოზე არიან გაყვანილნი? დაწყებულია, თუ არა მოლაპარაკება მოკავშირეთა თანხმობით? წინასწარ სჭრის, თუ არა ეს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის აღიარების საკითხს? გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკება იმის და დამოუკიდებლათ, თუ როგორი იქნება საბჭოთა მთავრობის მოქმედება აწმყოში, ან მომავალში? მართლა დააკავა, თუ არა საბჭოთა მთავრობამ ინგლისის საქონელი, და როგორი გარანტიების მიღება შეუძლია ინგლისს, რომ მომავალში სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის დროს საბჭოებთან უზრუნველყოს თავისი საქონელი ასეთი ხიფათისაგან? დასასრულ შეკითხვაში აღნიშნულია ბალშევიკებთან მოლაპარაკების დაწყება, როდესაც აზიაში ბალშევიკური საფრთხე არსებობს და ანტი ინგლისურ აგიტაციას ეწევიან აღმოსავლეთში.

ლონდონი სპის კონფერენცია 5 ივლისამდე არ დაიწყება.

ლონდონი. „ტაიმსი" იუწყება: ინგლისური პრესა ბალშევიკებთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის სასარგებლოდ დიდ კომპანიას აწარმოებს: ინგლისს შიმშილით აშინებენ, თუ იგი რუსეთის ბეღელს არ გააღებს. გაზეთი თავის აზრით აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო ბეღლის გაღება, როდესაც ვიცით, რომ იგი ცარიელი არის. ამის და მიუხედავად უკვე შემუშავებულია ძირითადი დებულებები, რომლებიც რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად დაედება. დასმულია შემდეგი საკითხები: 1. გარანტიები, რომელთა წარმოდგენაც შეუძლია საბჭოებს შეთანხმების უზრუნველსაყოფად, 2. სავაჭრო დამოკიდებულების დაწყების მომენტი, 3. რუსეთის მიერ გადახდის საშუალება, 4. ზღვითდა რკინის გზებით დამოკიდებულების აღდგენის შესაძლებლობა. „მორინგ პოსტი" ამის შესახებ იუწყება, რომ რუსეთის კოოპერატივების ცენტრ. კავშირის წარმომადგენელმა ბერკერგეიმმა პროტესტი განაცხადა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების პირდაპირი და არა კოოპერატივების საშუალებით აღდგენის გამო. „დეილი ნიუსი" მიდის რა საფრანგეთის შეურიგებლობის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ საფრანგეთს შეუძლია შეიკავოს თავი და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულება არ აღადგინოს. ინგლისს და იტალიას დამოუკიდებლად შეუძლიათ მოქმედება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებში განხეთქილება მოხდება. მოკავშირე სახელმწიფოები შეერთდენ გერმანიის და არა რუსეთის წინააღმდეგ. ყოველ ერს შეუძლია რუსეთის შესახებ თავისი შეხედულება იქონიოს.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება, რომ ვენაში გრანდიოზული დემონსტრაციები მოხდა ავსტრიის გერმანიასთან შეერთების სასარგებლოთ. დემონსტრანტებს დაქონდათ დროშები შემდეგი ლოზუნგებით: გაუმარჯოს გერმანულ ვენას! დემონსტრანტების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ რატუშის წინ მდებარე დიდ მოედანზე აღარ ეტეოდა.

ლონდონი. 22,000 გერმანულ ზარბაზნამდე დაწყებული 77 მილიმეტ. კალიბრით,—საერთაშორისო საკანტროლო კომისიის გადაეცა. ამ რიცხვიდან 8,500 ზარბაზანი გაფუჭებულ იქნა თვით გერმანელების განკარგულებით.

გაგრა. კომუნისტური მთავრობა შეუდგა სოჭის ოლქში შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელ კომიტეტის მოღვაწეთა დაპატიმრებას. 15 ივნისს „ესჩეკას" განკარგულებით დააპატიმრეს გავლენიანი გლეხები, კომიტეტის ყოფილი წევრები: ბლოხინი და როშჩენკო. როცა მცველებს ისინი სოჭაში მიჰყავდათ, გზაზე მაცესტის მიდამოებში თავს დაესხენ შეიარაღებული გლეხები და როსჩენკო წაართვეს. წითლებმა შესძლეს ბლოხინის წაყვანა. ამის გამო გლეხებში კომუნისტებისადმი მტრული მოძრაობა ძლიერდება.

გაგრა. მაისის პირველ რიცხვებში გაგრაში მდგარ ქართველ ჯარიდან კომუნისტებთან 24 ჯარისკაცი გადაიპარა. ეს ამბავი სოჭის კომუნისტებმა გამოიყენეს როგორც მათი გამარჯვების ფაქტი. თვე ნახევრის შემდეგ საქართველოს საზღვართან დაბრუნდა თითქმის ყველა ჯარისკაცი, რომელთაც განაცხადეს: „რაც გინდათ გვიყავით, ოღონდ ბალშევიკებთან ნუ დაგვაბრუნებთო. დაბრუნებული ჯარისკაცები შემდეგს მოგვითხრობენ: „ჩვენ გვეუბნებოდენ კომუნისტურ რუსეთზე, რომ იქ სამოთხეა, რომ იქ გლეხების და მუშების ძალა-უფლებაა. ამან შეგვაცდინა და წავედით. როგორც კი გამოვცხადდით კომუნისტებთან, იარაღი აგვყარეს, ჩვენი ტანთსაცმელი გაგვხადეს და რაღაც ბონები მოგვცეს. ამის შემდეგ საჩვენებლად დავყავდით, რომ ქართველი ჯარისკაცები ასე შემოხეული, მშიერი და მწყურვალენი არიან და ჩვენსკენ გადმოდიანო. ამის შემდეგ გაგვგზავნეს ნავის საზიდავ ურმებზე და დღეში დაგვინიშნეს ნახევარი გირვანქა პური. ცხოვრება ისე გაგვიჭირდა, რომ იძულებული შევიქენით მივგვემართა ადგილობრივ ქართველებისათვის, რომლებმაც ჩვენთან არც მოისურვეს ლაპარაკი ვინაიდან საქართველოს მოღალატეებათ გვთვლიდენ. მართალია უმძიმესი დანაშაული ჩავიდინეთ სამშობლოს წინაშე, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ დაბრუნება და ეხლა ვითხოვთ სასჯელის შემსუბუქებას, ვინაიდან კომუნისტურმა მოწამლულმა აგიტაციამ შეცდომაში შეგვიყვანაო". ამ ამბავმა მთელ ჯარისკაცებში დიდი აღელვება გამოიწვია კომუნისტების წინააღმდეგ და ამბობენ: „ეხლა კი ვიცით, ვინ არიან ჩვენი მტერ-მოყვარენიო".

ახალი ამბები

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **გამორიცხვა სამსახურიდან.** რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ რკინის გზების ადმინისტრაციას აცნობა 4 ივნისს მომხდარ გაფიცვების მეთაურების სია, რომლებიც გამორიცხულნი არიან კავშირიდან. კავშირის გამგეობა დაჟინებით მოითხოვს ამ პირების სამსახურიდან დათხოვნას.

◆ **სამინისტროების კანცელარიების რევიზია.** ქალაქის საბჭოს მდივანი ხახანაშვილი დროებით მთავრობის საქმეების გამგედ და მთავრობის თავმჯდომარის პირველ მდივნათ არის დანიშ-

ნული. ამასთანავე ვ. ხახანაშვილს მინდობილი აქვს ყველა უწყებათა კანცელარიის რევიზია. შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტროების რევიზია უკვე დაასრულა. ამ სამინისტროებში ნორმალური შტატებია შემუშავებული და საჭირო შემოკლებაცაა მოხდენილი.

◆ **საგ. საქ. მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი** 10 ივნისს ინახულეს: ამიერ-კავკასიაში დანიშნულმა საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესმა კომისარმა გრაფ. დე-მარტელმა, კავკასიაში მყოფმა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსმა პოლკოვნ. კორბეილმა და ადერბეიჯანის მთავრობის საგ. საქ. მინისტრმა ჰუსეინოვმა.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ამხ. სეით დევდარიანის წიგნი „როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში“.

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროში გადასახადი ნატურით.** სახელმწიფო მამულების განყოფილებამ უკვე დაგზავნა ცირკულიარი იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მიიღონ გადასახადი იმ კერძო პირთაგან, რომლებსაც სახელმწიფო მამულების ფარგლებში აქვთ ნათესი. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ გადასახადი ნატურით უნდა მიიღონო.

◆ **სად. ნატანებში** დაატუსაღეს ცნობილი ყაჩაღი ვლადიმერ სურგულაძე, რომელსაც ჰქონდა კავშირი ერთ დროს დენიკინის შტაბთან ბათომში, ამავე დროს კომუნისტების კომიტეტთან და „სედაი მილეთის“ ჯგუფთან. იგი მონაწილეობას ღებულობდა ხიდების აფეთქებაში და მატარებლების დამსხვრევაში ცნობილ ყაჩაღ პაიჭაძესთან ერთად.

◆ გაზეთ „კომუნისტის“ № 11, 30 ივნისს მოთავსებულია წერილი თფილისის № 1 ციხიდან ერთი ჯგუფის ტუსაღების მიერ გამოგზავნილი. ისინი ეძახიან—რა თავის თავს კომუნისტებს, მიესალმებიან გაზეთ „საქართველოს კომუნისტს“ და თვლიან მას მათი ინტერესების დამცველათ. შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, რომ ყველა ეს პირები დაპატიმრებული არიან სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულობისთვის. თვითეულ მათგანზე იქნება გამოქვეყნებული მოკლე ცნობა. ზოგი მათგანი კონტროლელია, ბრალი ედება წინასწარ მოფიქრებულ მკვლელობაში მაგ. სოლომონ საძაგლიშვილს და სანდრო ღვინიაშვილს. (საქ. ს. ბ.)

◆ **ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის** პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე დაადგინა გამოსცეს დასურათებული ბროშურა ჯარში დასარიგებლათ ჩვენი ტყვეების ყოფა-ცხოვრების შესახებ ადერბეიჯანში. ამ წიგნაკის შედგენა მიენდო: სერ. ჟორჟოლიანს, სოლ. დოლიძეს და ტიტე ართმელაძეს. აგრეთვე დაადგინა: მთელის თავისი საშუალებით ჩაუდგეს სამუშაოთ სათავეში საქართველოს დაჭრილ-დასახიჩრებულთა პატრონობა-მოვლას, რათა სახელმწიფოს დაუბრუნოს ისევ შრომის უნარ აღდგენილი მოქალაქენი და საშუალება მიეცეს დასახიჩრებულთ თავის შრომით გამოკვებონ ოჯახი და თავისთავი.

◆ **ფრონტისათვის.** დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა მიიღო 5,100 მან., რომელიც შეუგროვებიათ სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ ჩვენი მამაც მხედრობისათვის.

◆ **ნიხრი სურსათ-სანოვაგეზე.** ქალაქის სასურსათო კომისიამ სურსათ-სანოვაგეზე შემდეგი ნიხრი შეიმუშავა. საქონლის ხორცი გირვანქა 30 მ. და ფუთობით 1180 მან. კამეჩის ხორცი გირ. 20 მან., ფუთობით 780 მან. ცხვრის ხორცზე ძველი ფასი რჩება. კარტოფილი 12 მან. გირვანქა, ფხვნილი მარილი 6 მან., დაუნაყავი მარილი 5 მან. 80 კ., შეშა 12 გოჯიანი 5500 მან., 24 გოჯიანი—5000 მან., რბილი ჯიშის შეშა 12 გოჯიანი—3500 მან., 24 გ.—300 მან., შერეულის 12 გ.—4500 მან. და 24 გოჯ.—4000 მან., ნახშირი ნაღდათ 60 მან., ფუთობით—65 მან. სხვა სანოვაგეზე ფასები ძველი რჩება.

◆ **მანუფაქტურა.** ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ ესპანურ ფირმისაგან მრავალი შალის საქონელი იყიდა. საქონელთა პირველ წყებას აგვისტოს პირველ რიცხვებში მოელიან.

◆ **ერობათა კავშირის კომიტეტმა** დაადგინა მოაწყონ თფილისში კურსები საერობო მეურნეობის საკითხების შესასწავლად.

◆ **წვრილი საერობო ერთეული.** ერობათა კავშირის კომიტეტმა დაასრულა კანონპროექტის შემუშავება წვრილ საერობო ერთეულის შესახებ.

◆ **პროფესიონალურ მოძრაობის კურსები.** პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს პროფ. მოძრაობის შესასწავლი კურსები. ამ კურსების პროგრამის შედგენა მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

◆ **მუშათა სასახლე.** შრომის სამინისტროს წინადადებით პროფ. კავშირთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შეადგინოს კომისია საბჭოს სეკრეტარიატის, შრომის სამინისტროს და აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებისაგან იმ საკითხის გადასაწყვეტათ, თუ ვის გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს მუშათა სასახლე.

კრებები.

დღეს, 12 ივლისს, სეკრეტარიატის შენობაში შესდგება თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგში: ჟურნალისტების წესდების დამტკიცება, ბაზრის კონტროლიორების მოხსენება, მომრიგებელ კამერის მუშათა სექციის მოხსენება და სხვა.

— დღეს, 2 ივლისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. განსახილველია საკითხი ქალაქის საბიუჯეტო უფლებების გაფართოვების შესახებ. ყველა ამხანაგ ხმოსნებს ვსთხოვთ სხდომას დაესწრონ.

— კვირას, 4 ივლისს, დილის 10 საათზე, (პლეხანოვის პროსპექტი 129) დანიშნულია დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის წევრთა საერთო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

სად. სამტრედია. კვირას, 27 ივნისს, მოხდა რკინის გზის რაიონის გამგეობის და სექციის გამგეობების შეერთებული სხდომა, სადაც გაირჩა რკინის გზელთა კონფერენციაზე დაყენებული საკითხები. კონფერენციის დელეგატებათ არჩეულ იქნენ: 1) ივ. კიკაბიძე, 2) კ. ჩაჩუა და 3) ახობაძე.

გერმანელი მეცნიერები გორის მიწის ძვრის გამო

საქართველოს მთავრობის ბერლინერმა წარმომადგენელმა შემდეგი შინაარსის ადრისი მიიღო მაისის 17-ს გერმანელ მეცნიერთა ერთი ჯგუფისაგან:

მის აღმატებულებას ბ-ნ საქართველოს რესპუბლიკის ელჩს დ-რ ვლადიმერ ახმეტელაშვილს. ბერლინში.

თქვენო აღმატებულებავ! იმ საშინელმა უბედურებამ, რომელიც მიმდინარე წლის თებერვლის 22—23 რიცხვებში თავს დასტყდომია საქართველოს, მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია ქართველი ერისადმი გერმანიის ხალხში. გულმწუხარეთ მოვისმინეთ ჩვენ ის ცნობა, რომელიც შვიდ აპრილს თქვენდამი რწმუნებული საელჩოს ატაშემ ბ-ნ ფილ. დოქტორმა კ. გამსახურდიამ მოგვაწოდინა საქართველოს ძველი კულტურული ქალაქის გორისა და ქართლის პროვინციის მიწის ძვრით დაზარალების შესახებ.

სამწუხაროთ, ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს საქმიანი მაშველი ხელი გაუწოდოთ საქართველოს ერს ამ უბედურ შემთხვევაში, როგორც ეს გერმანიამ მესსინის კატასტროფის დროს ჰქნა, მაგრამ ჩვენ ვისწრაფით ჩვენი გულის წუხილი და თანაგრძნობა გაუზიაროთ თქვენს აღმატებულებას.

თანაც ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხი, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ათასგვარ ჯავრის მნახველი და გადამტანი, ახალ სულიერ ძალებს მოიკრებს ამ ახალი ტანჯვისა და უბედობის წიაღიდან და გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობს იმ კულტურულ და პოლიტიკურ აღმაშენებლობას, რომლის სახელითაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა და ილვწოდა იგი.

მიიღეთ თქვენო აღმატებულებავ ჩვენი თანაგრძნობა და პატივისცემა. ხელს აწერენ: პროფ. დოქტ. ჰენრიხ ბრანდერბურგი—რექტორი ლეიპციგის უნივერსიტეტისა, პროფ. დოქტ. ვახ. რიჰხარდ შმიტი, პროფ. დოქტ. ალტაუს, პროფ. დოქ. ვიქტორ ერენბერგი, პროფ. დოქ. მიტაისი, რაიხსგერიხტსრატი მ. რაიხელტი, რაიხსგერიხტსრატი მ. როგენტოლი, ლანგერიხტის პრეზიდენტი ფონ ვებერი, პროფ. დოქ. კ. ენგლერდერი, პრივატდოცენტი ერიხ შულცე, დოქ. ფონ რა-ტი, როლფ. დოქ. პ. გელიჩი, ბერლნ. უნივ. პრივატდოც. მანისტრი იაჰანესნოი ჰეს, ქართული ენის დოცენტი ბერლინის უნივ. რიხარდ მეკელაიინი,—ფილ. დოქ.,—პროფ. დოქ. ფელიქს ჰოლდანცი.

მიწის რეფორმის შედეგები

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაიმუშავა მოხსენება, რომელიც ახასიათებს მიწის რეფორმის შედეგებს 1920 წლის პირველ იანვრამდე. ცნობები ვრცელდება 1918 წელზე და ნაწილობრივათ 1919 წელზედაც. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფაქტიურად ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა 1920 წლის 1 იანვრამდე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეს ქვემოდ არის ჩამოთვლილი. გარდა ამისა შეტანილი არ არის სოხუმის ოლქში ჩამორთმეული მიწები, სადაც ეს ჩამორთმევა ხელახლა დასრულდა. აღმოსავლეთ საქართველოში, თუ ვივარაუდებთ 9 მაზრას, აქტების მიხედვით ჩამორთმეულია 2714 მამული 511,538,97 დეს. თითო მამულის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 188,48 დეს. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმით დატოვებული მიწების რაოდენობა უდრის 27.572,46 დეს. სულ აღმოსავლეთ საქართველოში მაზრების და მიხედვით ჩამორთმეულია: თფილისის მაზრაში 42,139,71 დეს.; სიღნაღის 39,159,68; თელავის 44,901,74; ბორჩალოს 91,314,18 დეს.; დუშეთის 20.612,60; თიანეთის 31,636,79 დეს.; ახალციხის 78,376,24; გორის 120,506,12 დეს.; ახალქალაქის 12,685,61 დეს. ამ ცნობებიდან ცხადია, რომ ყველაზე ზედმეტი მიწა ჩამორთმეულია გორის მაზრაში, სადაც ქართველი ფეოდალები იყვნენ თავმოყრილნი. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმით დატოვებულია 27,572,12 დეს. რაც შეადგენს სულ 5,4% მიწის სივრცისას. დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში, სოხუმს გარდა სულ ჩამორთმეულია 995 მამული 110,157,95 დეს. ნორმით დატოვებულია 7,115,40 დეს.; ქუთაისის მაზრაში ჩამორთმეულია 9,273,09 დეს.; ზუგდიდის 2,887,03 დეს.; ლეჩხუმის 37,668.33 დეს., ოზურგეთის მაზრაში 22,227,67 დეს.; რაჭის 139,72 დეს.; სენაკის 28,541,69; შორაპნის 9,420,42 დეს. ამგვარად ყველაზე მეტი ჩამორთმეულია ლეჩხუმის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია 221,73 დეს. ყველაზე ნაკლები ჩამორთმეულია რაჭის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია 57,93 დეს.

თანახმად მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობებისა სულ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ფონდში 510.574,57 დეს. მიწა გადასულა. მცხოვრებლებს ნორმით 34.687,36 დეს. დარჩათ. ჩამორთმეული მიწები შემდეგ ნაირათ არის განწესრიგებული. აღმოსავლეთ საქართველოში კულტურული მიწები—146,784,01 დეს. საძოვარი ადგილები—63,567,81 დეს. ტყე—211,511,76 და გამოუსადეგარი მიწები: 150,22,64 დ. დასავლეთ საქართველოში (ქუთ. გუბ.) კულტურული მიწები—29,932,26 დეს. საძოვარი ადგილები — 6.839,88-დეს. ტყიანი ადგილები—40.172,04 დ. და გამოუსადეგარი მიწები—6.330,22-დეს. ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ თფილისის გუბერნიაში კულტურული მიწები მთელ მიწის 30,33% შეადგენს, ქუთაისის გუბერნიაში კი 6,64%. ორივე გუბერნიაში კი 42,10 პროც. შემდეგ მიწათ-მოქმედების სამინისტრო იტყობინება, რომ თანახმათ 1917 წელს მომხდარ აღწერისა, სულ საქართველოში ითვლება 3631 სოფელი, 1.862.419 მცხოვრებით. ამ რიგათ შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ საფონდო მიწიდან გლეხის ოჯახმა თითო დესიატინა მიიღო.

აჯანყება

ვერ უძლებს ქვეყანა ქარიშხალს რღვევისას,
ვერ უძლებს ტახტების რყევას და ძვრას;
ვიღაცა აფეთქებს მთას ცეცხლთა ფრქვევისას,
ვიღაცა ღრიალებს: რას სჩადით, რას?!!

—

ხმელეთს ცეცხლი ეკიდება,
ცეცხლის ტალღა ცასა სწვდება;
ღამე იწვის, იბუგება,
განთიადი ახლოვდება!

—

ძლიერდება, იზრდება
ალი აჯანყებისა
და ხშირდება ხმაური
უცნაური ხმებისა!

—

ეს სულთა ხრიალია
ყველა მტარვალებისა
და აღდგომის ზარია
დამონებულებისა!

—

მალე მთლად განიბნევა
უკუნეთი ბნელეთი
და სამოთხედ იქცევა
ჯოჯოხეთი ხმელეთი!

გ. ქუჩიშვილი.

რისთვის დაგვაპატიმრეთ გენერალი შიხლინსკი

(წერილი რედ. მიმართ)

როდესაც ადერბეიჯანში ტურკოფილების პოლიტიკამ გაიმარჯვა, სამხედრო მინისტრი ალი-აღა შიხლინსკი ერთი მესვეურთაგანი იყო ბალშევიკების ადერბეიჯანში შემოსვლისა. ყოფილი მინისტრი პირველი მტერი იყო მოკავშირე საქართველოსი და ყოველივე ღონეს ხმარობდა ადერბეიჯანის ჯარი გაეწმინდა ქართველ აფიცრებისაგან. ამ „შორს გამჭვრეტ“ გენერალს მარჯვენა ხელად ჰყავდა მისი ძმის წული ეხლახან თფილისში დაპატიმრებული გენერალი ჯავატ შიხლინსკი. ზემოხსენებული გენერალი ყოველ ზომებს იღებდა თავიდან მოეშორებინა ქართველი აფიცრობა და ოსმალეთის აფიცრებით აევსო თავისი დივიზია. მახსოვს ერთხელ მაყაშვილის თანდასწრებით მისგან ჩემდამი მომართული სიტყვები, თქვენ ქართველ აფიცრებს ბევრად არაფრად გეჰაშნიკებათ ადერბეიჯანი და სასიამოვნოც იქნება რაც მალე გაეცლებით მასო“. განსვენებული გენერალი მაყაშვილი თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზედ და მიმართა შიხლინსკის: „გენერალო, წრეს გადაცდით, ან უკანვე დაიბრუნეთ თქვენი სიტყვები, ან მართლაც ქართველი ოფიცრობა, ეს ბურჯი თქვენი ჯარისა, იძულებული გახდება მიატოვოს ადერბეიჯანის ჯარიო“, რაზედაც შიხლინსკიმ ბოდიშის ხდით მოლბილებულად მოახსენა, რომ გაცხარების დროს მეც თვითონ არ ვიცი რა ვსთქვიო. გენერალი ჯავატ შიხლინსკი დიდი მოძულე იყო არა მარტო ქართველი აფიცრებისა, არამედ მთელი საქართველოსი, და კიდევაც სავსებით დაამტკიცა განჯა-ყაზახის გამაგრებულ რაიონის ქართველ აფიცრების გაცემა-დაპატიმრებით. საქმე შემდეგში იყო: როდესაც ქართველმა აფიცრობამ ბაქოში მთავრობის შეცვლა გაიგო და მტრის ჯარების საქართველოს საზღვრებისკენ გამომგზავრება, მან უარი განაცხადა სამსახურზედ და გენერალ შიხლინსკის, როგორც ბალშევიკების არა მოყვარულ კაცს, თავისი დელეგატების პირით სთხოვა მიეცა ნება გამგზავრებულიყო (ვინაიდან სხვა მატარებლების მიმოსვლა ბაქოსა და განჯას შორის შემწყდარი იყო), ჯავსნოსანი მატარებლით ალსტაფამდე და იქიდან კი ჩვენის „რისკით“ სამშობლოში გადასვლისა, რაზედაც გენერალ შიხლინსკიმ სრული თანხმობა გაგვიცხადა და იმავე დროს მუხანათურად გაგვცა და სამხედრო კომისარს ილდრიმს, ჩვენი დელეგატების წასვლისთანავე აუწყა ჩვენი უარის თქმა და გაპარვის სურვილი, რასაც ჩვენი დაპატიმრება მოყვა და ჩვენ როგორც „საბოტაჟნიკები“ და „კონტრ-რევოლიუციონერები“ გაგვამგზავრა ბაქოში „ჩრეზვიჩაიკის“ განკარგულებაში და, რომ ცნობილი კომუნისტი მიშა ჩხეიძე არა, დახვრეტილი ვიქნებოდით. შიხლინსკების იმედები არ გამართლდა და მათგან გაყიდული ადერბეიჯანი სათათრეთის პროვინციის მაგივრად, რუსეთის პროვინციათ იქცა. გენერალმა ჯავატ შიხლინსკიმ მოინდომა შეცდომის გამოსწორება და განჯა ამბოხების ქარცეცხლში გაახვია და როდესაც განჯის უსუსური ბავშვები და უძლური ქალები ათასობით იხოცებოდენ გამხეცებულ რუსის ჯარისაგან, გენერალი ჯავატ შიხლინსკი ლაჩრულად გამორბოდა საქართველოსაკენ თავშესაფარად. და საქართველოს მოსისხლე მტერი, მისი შვილების გამცემი გენერალი შიხლინსკი რუსთაველის პროსპექტზე არხეინად მოსეირნე ვიხილეთ. ოცდასამი აფიცრის სახელით ვთხოვ ჩვენს მთავრობას განდევნოს გენერალი შიხლინსკი საქართველოს საზღვრებიდან და არა სათათრეთისაკენ, საითკენაც მისი მზაკვრული სული მიილტვის, არამედ განჯისაკენ, საიდანაც იგი ეგრე ლაჩრულად ილტვოდა.

კაპიტანი ვ. წერეთელი.

ნოე ჩხიკვაძის საღამოსათვის

ხვალ მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაიმართება უდროვოთ სიცოცხლე ჩამქრალ პოეტ ნ. ჩხიკვაძის საღამო. დუხჭირმა ცხოვრების პირობებმა, აუტანელმა მდგომარეობამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ნიჭიერი მუშათა პოეტი ჩვენი ნოე. ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ მრავალ-ფეროვანი და სახელოვანი იყო ის. პატარობიდანვე პროლეტარული სულის მატარებელი, ისე დავაჟკაცდა და ისე განუტევა სული, რომ მისი ცხოვრების შინაარსს არ მოშორებია პროლეტარული, მუშური ელფერი. ის საუკეთესო მესაიდუმლე იყო მუშათა გულისა. სამწუხაროდ მას არ დასცალდა ნიჭის სავსებით გაფურჩქვნა, მან ვერ მოასწრო რის თქმაც უნდოდა... ვინ იცის რამდენი ფიქრები და აზრები თან წაიღო კეთილმა ადამიანმა? სხვა ფიქრებთან და აზრებთან ერთად განსვენებულს თან წაჰყვა ფიქრი თავისი პაწია შვილების შესახებ. საბრალო სულ იმაზე სწუხდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, პაწია შვილებს რა ეშველებაო.

და აი ქართველ საზოგადოების, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილის, რომლის სამსახურს შეალია თავისი სიცოცხლე ჩვენმა პოეტმა, საზოგადოების ამ ნაწილის ზნეობრივი მოვალეობაა ყველა შეგნებულ მოქალაქემ—პარტიულ ამხანაგებმა იზრუნოს ობლებზე. მოვალეთ უნდა იგრძნოს თავი, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ნოეს პაწაწინა ობლების გამოკვებაში. მოუწოდებთ ყველას დაესწრონ ნოე ჩხიკვაძის საღამოს 3 ივლისს, გაიხსენეთ და დაეხმარეთ ობლებს...

აკ. ხ—უა.

ბათომი

„სედაი-მილეთი“-ს მუშაობა საქართველოს წინააღმდეგ. გაზ. „სამუსულ. საქართვ.“-ში (25 ივნ., № 390) სწერია:

სოფელ ქვანიდან ჩვენ გვაუწყებენ, რომ ამ დღეებში იქ მისულან „სედაი მილეთის“ ვაჟბატონები. დაუბარებიათ მოხუცებულები და გაუწევიათ მათ შორის აგიტაცია საქართველოს წინააღმდეგ: თქვენ მოხუცებულები ხართ, დიდათ ჭკვიანი ხართ და რასაც ჩვენ გეტყვით, უნდა დაგვიჯეროთო,—უთქვამთ მათთვის „სედაი მილეთლებს“, თქვენ ახალგაზრდებს უნდა ჩააგონოთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდენო.

რომ უფრო დაეჯერებინათ მოხუცებები, თითო მოხუცისათვის „სედაი მილეთლებს“ მიუციათ ზოგისათვის თითო და ზოგისათვისაც ორ-ორი ქაღალდის ლირა.

— ეს ქემალ ფაშამ გამოგიგზავნათ თქვენო, განუცხადებიათ მოსყიდულებს.

———

13 ივნისს სოფელ ბოძგირეთში (შავშეთი) შეიჭრა „სედაი მილეთის“ ბრბოების მეთაურნი ხიძით-ბეგი ფაყაძე (ფალავა) თავით ფეხებამდე შეიარაღებულ 15 კაცის თანხლებით. გაიგეს რა, რომ ადგილობრივი გლეხი ყედემ აღა საიდ ალისშვილი აღანიძე მათი მომხრე არ არის, რომელიც სხვათა შორის სოფელში შეძლებულ გლეხათ ითვლებოდა, შევიდენ მის სახლში, დაუპატიმრეს ორივე ვაჟი, რადგან ამ უკანასკნელებმა „სედაი მილეთის“ ფრონტზე წასვლაზე უარი განაცხადეს, დაჭერილები შეკრეს თოკით და წაიყვანეს მთაში მძევლებათ; შემდეგ მათ გასანთავისუფლებლათ დატუსაღებულების მამას მოსთხოვეს 500 ცალი ბანკნოტი, რაზედაც უარი მიიღეს, რის გამოც მათ ენერგიულათ გაჩხრიკეს აღანიძის ბინა. წაიღეს ვერცხლი, ოქრო დ ფული. შეიტყო თუ არა სოფელმა, აღანიძის ვაჟების დაპატიმრება, თავი გამოიდო და გაანთავისუფლა 30 ოქროთი დაჭერილები, რომელნიც ახლაც იმალებიან ტყეში, შეშინებულნი ბრბოების მეთაურებისაგან. თვითონ გაძარცული აღანიძე ართვინიდან ბათუმს გამოიქცა, რადგან ტყვედ წაყვანას უპირებდენ. მისი ზარალი უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. გლეხმა აღანიძემ წარმოადგინა სოფლის საზოგადოების დასტური, რომ მართლა იგი ამდენათ დააზარალეს და ითხოვს, ეს მოთარეშე ყაჩაღ-მძარცველთა ბრბო დასჯილ იქნეს. თავის მხრით თავგასულნი მეთაურნი ამ ბრბოისა კვლავ ემუქრებიან საწყალ გლეხ აღანიძეს...

პედაგოგიური უკუღმართობა

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბევრი რამ შესამუსრი დაანგრია, ბევრ უკუღმართობას აუგო ანდერძი და მათ ნანგრევებზე დაიწყო შენება ახალი ცხოვრებისა. ყოფილ რუსეთის იმპერიაში ფეხქვეშ იყო გათელილი ის უტყუარი საანბანო ჭეშმარიტება, რომ ბავში უნდა სწავლობდეს და ვითარდებოდეს დედა ენაზე; ეხლაც, საუბედუროდ, მოიპოვებიან სიღნაღის მაზრაში იმისთანა სკოლები, სადაც ბავშვები სწავლობენ არა დედა ენაზე, არამედ უცხო, გაუგებარ ენაზე. რასაც წინედ პედაგოგი ურიგდებოდა კბილების ღრჭენით მხოლოდ იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას არღვევდა უხეში ძალა, დღეს თვით „პედაგოგები“ სთელენ მას ფეხქვეშ. მე მოგახსენებთ სიღნაღის მაზრის სომხურ სკოლების შესახებ. სიღნაღში და ველისციხეში სომხები შინ და გარეთ ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, ასე რომ მათი შვილებისთვის დედა ენა არის არა ნაციონალური, არამედ ქართული ენა. ამის მიუხედავად, ველისციხის პირველ დაწყებით და სიღნაღის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში სომხის ბავშვები „იძენენ“ ცოდნას მათთვის გაუგებარ უცხო ენაზე. ამისთანა ექსპერიმენტების უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მთავრობა მოვალეა იზრუნოს იმათზე, ვისაც არ შეუძლიან თავის თავზე ზრუნვა. სომხური ენის სწავლება სიღნაღის მაზრის სკოლებში კანონიერია, მაგრამ იგი უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი. რასაკვირველია, იქ სადაც სომხის ბავშვები ლაპარაკობენ, როგორც ეს არის თფილისში და ბორჩალოს მაზრაში სომხურ ენაზე, იქ ისინი უნდა სწავლობდნენ ამ ენაზე, მაგრამ აქ, სიღნაღის მაზრაში, არც ერობამ და არც მით უმეტეს სამინისტრომ ნება არ უნდა მისცეს ამ ცრუ პედაგოგებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ ნორჩ ბავშვებს დედა-ენა და მის ალაგას ტლანქის ხელით ჩაუდონ უცხო ენა. იგივე სიღნაღის ერობა ეძებს ოსების სკოლებისთვის ორ მასწავლებელს და თათრების სკოლებისთვის თათარ მასწავლებლებს, ვინაიდან მათ ბავშვებმა იციან მარტო ნაციონალური ენა; მაგრამ იგივე ერობა უნდა შეებრძოლოს იმ შოვინისტებს, რომელთაც უნდათ სკოლა აქციონ პოლიტიკურ სათარეშო ასპარეზად. დეე, ეკლესიებში ელაპარაკონ მღვდლები ხალხს იმ ენაზედ, რომელთაც მათთვის გაუგებარია, მაგრამ ბავშვების დამახინჯების უფლება-კი არავის არ უნდა ჰქონდეს, თუნდ ამის მომხრე თვით ძლიერი „სოციალისტური“ პარტიაც იყოს.

ძველი პედაგოგი.

რკინის გზელთა კონფერენციის გამო

რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მოიწვია კონფერენცია—რაიონულ კავშირების წარმომადგენლებისა. კონფერენციის მუშაობას არ ექნება მარტო სათათბირო ხასიათი.

რკინის გზელთა მეორე ყრილობამ, რომელიც შარშან ოქტომბერში მოხდა მისი სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება დაავალა. მან უნდა განიხილოს და დაამტკიცოს, როგორც წარსული ხარჯთ-აღრიცხვა, ისე შეიმუშავოს ხარჯთ-აღრიცხვა წლის ბოლომდე.

კონფერენციის დღიურ წესრიგში დგას აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები: 1) კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა და შესწორება; 2) კატეგორიების შემუშავება; 3) ბრძანება № 17-ს შესწორება და 4) სხვა მიმდინარე საკითხები. კატეგორიების და კოლექტიური ხელშეკრულების შემუშავება, ეს დიდი საკითხია და რკინის გზელების გამგეობა მასზე ერთი თვეა მუშაობს.

რკინის გზელები, ცხადია, გაფაციცებით ელიან კონფერენციის მუშაობის დაწყებას: რკინის გზის რაიონებში კარგა ხანია აღძრულია ეს საკითხი.

კონფერენციამ უნდა მოისმინოს როგორც ცენტრალური გამგეობის მოხსენება 6 თვის მუშაობის შესახებ, აგრეთვე რაიონებს წარმომადგენლების მოხსენებებიც. მოხსენებას გააკეთებს აგრეთვე ცენტრალურ კულტურა-განათლების კომისია.

კონფერენციის დღიურ წესრიგში ამრიგათ, საყურადღებო საკითხებია დასმული. დარწმუნებული ვართ, რომ კონფერენცია შესძლებს ყველა ამ საკითხების მიზანშეწონილათ გადაჭრას.

ვუსურვებთ კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას.

გალო სკლიარი.

სასოფლო-სამეურნეო განათლება

მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ შედგენილი მოხსენება საშუალო და პირველ დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწყობის შესახებ, მთავრობამ მოიწონა. პროექტთან თანდართულ განმარტებით ბარათში სამინისტრო აღნიშნავს, რომ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლები საშუალებას მისცემს იმ პირებს, რომლებმაც უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები დაასრულეს მიიღონ ასე თუ ისე დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო განათლება. საშუალო სკოლების კურს დამთავრებულებს ეძლევათ ნება მასწავლებლობისა პირველ დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ტეხნიკურ მუშაობისა და სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში. ჯერ-ჯერობით რესპუბლიკის საზღვრებში განზრახულია 4 საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. თფილისში მესაქონლეობის და მებაღეობის განყოფილებებით, ქუთაისში ასეთივე განყოფილებით, მუკუზანში—მევენახეობის და მეღვინეობის განყოფილებით და თფილისის გუბერნიაში მებაღეობის, მესაქონლობის და მერძეობის განყოფილებებით. პირველ დაწყებით სკოლებმა უნდა მოამზადონ მშენელები ისე, რომ შესძლონ საკუთარი მეურნეობის გაძღოლა. ასეთი სკოლები გაიხსნება: სოხუმში. ლანჩხუთში და გორის, დუშეთის და თფილისის მაზრებში. გარდა ამისა განზრახულია მესამე ტიპის სკოლის სახელდობრ წერა-კითხვის მცოდნეთათვის სასოფლო მეურნეობის პრაქტიკულ სკოლის დაარსება. ეს სკოლები შეიძლება გაიხსნას სახელმწიფო მამულებში და აგრეთვე ერობების საშუალებითაც. მიწათმოქმედების სამინისტრო ამასთანავე უფლებას იტოვებს გადასცეს ამ სკოლებს უფასო სარგებლობაში მიწის და ტყის ნაწილები, რომლებიც საჭირო იქნება სკოლების მოქმედებისათვის, იმავე საფუძვლებზე, რაზედაც სახალხო განათლების სამინისტრო თვალყურს ადევნებს საერთო განმანათლებელ სასწავლო დაწესებულებებს.

სატარიფო პალატის ინსტრუქცია

1920 წ. 12 ივნისი.

საზოგადოებრივ და კერძო წარმოებათა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეებისათვის ერთდროულ შემწეობის შესახებ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

§ 1. სატარიფო პალატის ა. წ. 12 ივნისის დადგენილებით დაწესებულ თვიურ ჯამაგირის რაოდენობის, მაგრამ არა უმეტეს 3000 მანეთის, ერთდროულ შემწეობის მიღების უფლებით სარგებლობენ მხოლოთ ის მუშები და მოსამსახურეები, რომელთა სამუშაო ქირა განსაზღვრულია სატარიფო პალატის მიერ, რომლებთანაც შრომის ხელშეკრულება დადგენილების მომენტისათვის არ იყო დარღვეული.

§ 2. ერთდროული შემწეობა დამქირავებლის მიერ შემდეგ კატეგორიებათ გაიცემა: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მობილიზაციის გამო სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, მთელი ჯამაგირი, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან.; არ ეძლევათ შემწეობა აფიცრებს, სამხედრო მოსამსახურეებს და ექიმებს. 2) მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც დროებით სამუშაოზედ არიან დაქირავებულნი, თუ ისინი დადგენილების გამოტანი დღეს (12 ივნისს) იმყოფებოდნენ სამუშაოზედ: დღიურნი—არა ნაკლებ ორი კვირისა, და თვიურნი—არა ნაკლებ თვისა. 3) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დასასვენებლათ არიან წასულნი ან ავათმყოფობით ან საერთო წესით. 4) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც უჭირავთ მობილიზაციით ჯარში გაწვეულების, სახალხო გვარდიელების, დასასვენებლათ წასულების და ავათმყოფების ადგილი, თუ ისინი თორმეტ ივნისამდის მსახურებდნენ—დღიურნი არა ნაკლებ 2 კვირისა, და თვიურნი—არა ნაკლებ ერთი თვისა.

§ 3. მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სახალხო გვარდიაში მსახურებენ, ინარჩუნებენ შემწეობაზედ უფლებას.

§ 4. ნაჭრობით მომუშავენი იღებენ შემწეობას საერთო წესით საშუალო თვიური ქირის გამოანგარიშებით დადგენილების 3 წინა თვის მიხედვით, იმ პირობით, თუ ნაჭრობითი მუშაობა სწარმოებს. სატარიფო პალატის მიერ დადგენილ სანარდო შეფასებებით.

§ 5. სახლში მომუშავეთ აქვთ უფლება შემწეობის მიღებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან ამ წარმოებაში მუდმივი მომუშავენი.

§ 6. მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ სამუშაო ქირას პროცენტულ ჯილდოს, ან მუშტარისაგან ქირის სახით, (პარიკმახერები, მექისეები, და სხ.) იღებენ შემწეობას, ტარიფით დაწესებულ სამუშაო ქირის რაოდენობით.

§ 7. ერთდროულ შემწეობის მიღების უფლება არა აქვთ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ პროცენტებზედ (ოფიციანტები, პარიკმახერები და სხვ.)

ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია სატარიფო პალატის მიერ 1920 წლის 28 ივნისს და სავალდებულოა დამქირავებელთათვის.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე
ი. გოლდმანი.

კულტ. მუშაობა ჯარში და გვარდიაში

სანაპირო ჯარი. სანაპირო ჯარის უფროსის ბრძანებით სავალდებულოა წერა-კითხვის სწავლება საზღვრებზე მდგომ ჯარისკაცთათვის. უფროსებს და ექიმებს ევალებათ ლექციების და საუბრების გამართვა ჯარისკაცებში. დიდი ხანია რაც არსებობს ფოთის სანაპირო რაზმში ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც საუცხოვოთ არის მორთული. აქვე არსებობს ჯარისკაცთა სკოლა, სადაც წერა-კითხვის უცოდინართ ასწავლიან. ხსენებულ რაზმში არსებობს კულ-

ტურულ-განმანათლებელი გამგეობა, რომლის მიზანია საერთოთ რაზმში გააცხოველოს მუშაობა. რადგანაც რაზმი დაფანტულია საზღვრებზე, ყველგან სხვადასხვა ალაგებში ეწყობა სამკითხველოები, რისთვისაც შესაფერისს მზადებას შეუდგენ. სიღნაღის სანაპირო რაზმთანაც არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და რაზმის ცენტრალური წიგნების საწყობი. აქაც შესდგა კულტურულ-განმანათლებელი გამგეობა და ეწყობა სამკითხველოები საზღვრებზე მდგომ სიღნაღის რაზმის ჯარისკაცთათვის. წერა-კითხვის სწავლება სადარაჯოების უფროსებს ევალებათ და საამისო სამზადისს უკვე შეუდგენ; დამზადებულია სასწავლო ნივთები, როგორც ფოთის სანაპირო რაზმში, აგრეთვე სიღნაღისაშიც. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სანაპირო ჯარებში დიდი ხანია, რაც დაიწყო და უნდა მოველოდეთ ახლო მომავალში უფრო გაცხოველდება, რომელსაც დიდი ნაყოფის მოტანა შეეძლება. **მაშოშვილი.**

ფოთი. ამ ბოლო დროს ფოთში დიდი წვიმიანობა იყო. აქ წაიკითხა ლექცია დამფუძნებელი კრების წევრმა კედიამ, ხოლო ფოთის გარნიზონის ჯარისკაცებში წაიკითხა კულტურულ-განმანათლებელ საქმეების ინსტრუქტორმა კაპიტანმა ალ. გორგაძემ: „საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის და საზღვრების შესახებ". ამ უკანასკნელ ლექციას მთელი გარნიზონი დაესწრო.

ქართლი

დინჯი, დარბაისელი ქართლი დაჰკარგავს მალე თავის ელფერს, თუ ვერ შევსძლებით მისი განახლებული ცხოვრებაში ჩათრევა. მისი ამაყური ძველთაძველი გამომეტყველება იცრიცება...

და ეს არ არის გასაკვირალი.

ახლა ცხოვრების ხომალდი ისეთის სისწრაფით მიისწრაფება წინ, რომ ყველას არ ძალუძს გაერკვიოს მის მრავალფეროვან მეთოდებში. ეს ძნელია განსაკუთრებით მათთვის, ვინც კულტურის მხრივ სუსტია.

დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის.

დღეს მხოლოდ კულტურულათ წინ მდგარ საზოგადოებას შეუძლია გაერკვეს ცხოვრების სირთულეში. ჩამორჩენილებში კი ფეხს იკიდებს ჩამორჩენილი, პრიმიტიული იდეოლოგია, ფეხს იკიდებს „რუსეთის სოციალიზმი"...

აზიის სიველურემ ჩაიკონა „რუსეთის სოციალიზმი", ევროპის სინამდვილემ ხელი ჰკრა, არ მიიღო იგი.

ამან თავი იჩინა ჩვენშიაც. სწავლითა და განვითარებით წინ მდგარმა საქართველომ დასთრგუნა „ბოლშევიზმის" ქადაგება და მასთან ერთად ქურდ-ბაცაცობა და მტაცებლობა. ხოლო საქართველოს ჩამორჩენილმა მხარეებმა, თუმცა გულგრილათ, მაგრამ მაინც ყური ათხოვა „სამოთხის მქადაგებლებს". საქართველოს ორგანიზმზე ცოტაა სნეული ნაწილი. მაგრამ მაინც არის და ამას გრძნობს მოწინააღმდეგეც. ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩამორჩენილ მხარის გათვითცნობიერებას, გაჯანსაღებას მით უმეტეს, რომ ისიც აქეთ მიისწრაფის.

წითელი და შავი ბოლშევიზმი სოფლათ.

სოფლათ მე შევხვდი ორგვარ ბოლშევიზმს—წითელსა და შავს.

წითელს რუსეთის ფანატიკოსთა ხელებით რგავდნენ, ხოლო შავს—ბნელი რეაქციის. ორივე ერთად კი ცდილობდნენ ანარქიის დანერგვას...

ისინიც ერთად არ თანამშრომლებდნენ, მაგრამ ერთსა-და-იმავე საქმეს ემსახურებოდნენ... მათ სძულთ სიტყვიერათ ერთი-მეორე, მაგრამ მათი საქმიანობა მჭიდროთ აკავშირებს მათ... ისინიც ებრძოდნენ ერთი-მეორეს, მაგრამ იყვნენ და ერთად დარჩნენ, რადგან ბოლშევიზმი საზრდოობდა უმეცრებით, ხოლო მისი მოწინააღმდეგე ბოლშევიზმით...

ეს ორი სნეულება თავს დასტრიალებს მთებში გაფარდნილ ჩვენს სოფლებსაც.

და ეს ავადმყოფობა უნდა განიკურნოს. მისი მალამო—ცოდნა—მეცნიერებაა...

ეს ესაჭიროება ჩვენს სოფლებს.

თვალ წინ მიდგება შემთხვევა ამ ორ ძმათა ბოლშევიზმ-რეაქციის მოღვაწეობიდან.

ქსნის ხეობა: მუხრანის თემი... პირველში ცხოვრობდა წითელი ძმა, ხოლო მეორეში შავი...

ჩავსცქეროდი ხალხს თვალებში, ვცდილობდი წამეკითხა მისი სულიერი განწყობილება.

იქ არ სჩანდა არც გურიის სიმკვირცხლე—არც იმერთა სიმტკიცე...

ვერ გაარჩევდით, საით იხრებოდა ეს ხალხი,—მარცხნით, თუ მარჯვნით—უმეცრებისაკენ, თუ მეცნიერებისაკენ!..

„ამხანაგო!", მეუბნება ყოფილი სიომის წევრი ფსუტური—„აქ ვიღაც მოვიდა და მომიწამლა ეს ხალხი".

მისი ნაღვლიანი სახე შესაბრალისი იყო...

— „ამხანაგო! აბა მითხარი, ვის შეუძლია ამ სიძვირეში სამ შაურათ ფართლის მოტანა"—გაავთრებული ეკამათება ფსუტური ვიღაცას.

— „კაცო, რომ შეეძლოს მთავრობას უფასოთ ფართლის მოტანა, განა არ მოიტანდა, მაგრამ სად აქვს; შენ რომ არ გაქვს და არ ხარ მდიდარი შენს მთავრობას ვინ გაამდიდრებს?!.."

— „საიდან მოვიდნენ ისინი, ასეთ სიავეს რომ გპირდებიან?"—ვეკითხები მე...

— „ჯავის ხეობიდან"—იყო პასუხი.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ რწმუნდები, რომ ეს ხალხი მალე განიკურნება, მაგრამ სად არის ექიმი!..

ექიმებს, სულიერ ექიმებს კი შესძულდათ სოფელი...

სოფელ მუხრანში განწესებულია ექიმათ მ-ქე ბით-აბრაამი (ასსირიანელთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე). იგი დინჯი, ენერგიული მუშაკი, ინლებს „შავი ძმის" საქმიანობას...

მე შევესწარ ფრიად საინტერესო საუბარს.

მასთან მოსულიყო სოფლელი, რომელიც სთხოვდა წაჰყოლოდა მას ავათმყოფთან...

— „რას შვრება შენი შვილი?" ეკითხება ექიმი.

— „შეწუხებულია"—ისმის ნაღვლიანი პასუხი...

— „რას ამბობს მკითხავი?!"

სოფლელი წითლდება, მან იცის თავისი დანაშაული... ის ჯიუტობს...

— რა თქვა მითხარ!—კვლავ ეკითხება ექიმი...

— ჰო, კარგი, რაც იყო—იყო, რა უყოთ ჩვენ—გაუნათლებელ ხალხს—ყველა მოგვატყუილებს... და ნაღვლიანმა კიდევ ძირს დახარა თავი.

— „იცით", — მომიბრუნდა ექიმი— „მე—უფასო ექიმს მტოვებს, გარბის ვიღაც მკითხავთან—და, იცით მერე, რას იხდის?!."

პატივცემული მკითხავი ავათმყოფის გასაკურნავათ მოითხოვს ერთ შავ ქათამს, ანგელოზი უნდა დავწეროვო, ერთ კოდ პურს ($2\frac{1}{2}$ ფუთი) და 1000 მან. ფულს...

ეს შავი ბოლშევიზმია სოფლისთვის...
ისიც სოფლათ ცხოვრობს...
წითელ და შავ ძმათა მუშაობა.
მათ სძაგთ ერთი მეორე, მაგრამ ერთად ცხოვრობენ და ერთ მიზანს ემსახურებიან.

მ. ხუხუნაიშვილი.

ნაძალადევი.

28 ივნის ნაძალადევის მუშათა კლუბის ახალ შენობაში 1-ლ რაიონულ კოლექტივის თაოსნობით მოწვეულ იქნა ამავე რაიონის მოქალაქეთა და მუშების კრება, რომელზედაც რუსულ ენაზე მოხსენება გააკეთა ყოფილმა საქართველოს წარმომადგენელმა საბჭოთა რუსეთში ამხ. გაბო ხუნდაძემ შემდეგ თემაზე: „საბჭოთა მთავრობა და მისი მოღვაწეობა სახელმწიფოს სხვადასხვა დარგებში". კამათში მონაწილეობის მისაღებად გაზეთებში მოთავსებულ განცხადებების საშუალებებით მოწვეულ იყვნენ ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები. მოხსენებაზე შესვლა უფასო იყო. მოხსენებას აურებელი ხალხი დაესწრო. უადგილობის გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა. პირველათ მომხსენებელი აყენებს საკითხს,—არის თუ არა რუსეთში ძალა-უფლება ნამდვილათ მუშების და გლეხების ხელში? ამაზე მომხსენებელი იძლევა უარყოფითი პასუხს. იმ დროს, როდესაც რუსეთის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს გლეხობა—85 პროცენტია—საბჭოთა უმაღლეს მმართველ ორგანოებში გლეხებს და მუშებს ძალიან მცირე წარმომადგენლები ჰყავთ. ასე რომ რუსეთში საბჭოთა ძალა-უფლება მეშჩანურ ინტელიგენციის ხელშია და არა მუშების და გლეხების. რუსეთში ყველგან კომისრის ხელი მუშაობს. კომისარმა თუ არ ბრძანა—სიტყვის ამოღების უფლება არავის აქვს.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით აღწერს ბოლშევიკების მოღვაწეობას მართვა-გამგეობის, სწავლა-განათლების, სამრეწველო, სავაჭრო და სხ. სფეროებში. გზადაგზა მომხსენებელს მოჰყავს მაგალითები ბოლშევიკების მიერ რუსეთის მცხოვრებლების წინააღმდეგ მიზანშეუწონელ ზომების შესახებ... მართვა-გამგეობის სფეროში — ამბობს მომხსენებელი—გამეფებულია უმაღლეს წერტილამდე ბიუროკრატიზმი—თითონ ლენინის სიტყვით საბჭოთა დაწესებულებების მოხელეების 96 პროცენტი გახრწნილიაო.

წარმოების სოციალისტურ საფუძველზე მოწყობის მაგიერ—ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლშევიკები უძლურნიარიან—ეხვეწებიან უცხო კაპიტალისტებს დანგრეულ რუსეთის წარმოების აღდგენას.

ბურჟუაზია გაჟლიტეს, მაგრამ ახალი უარესი ბურჟუაზია გამოიჩეკა, რომლის ხელშიაც აურებელი ფულია დაგროვილი.

კერძო ვაჭრობა მოსპეს მაგრამ „სუხარევკაზე" საზიზღარი სპეკულიაცია სწარმოებს...

სწავლა განათლების სფეროში ბოლშევიკები დიდ უნარს იჩენენ, უნდათ სწავლა-განათლების საქმე სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მაგრამ, ცარიელ კუჭზე სწავლა არავის სურს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ მოწინააღმდეგეებს, თუმცა კრებაზე ბოლშევიკების ლიდერებიც ბრძანდებოდენ. ამხ. თალაკვაძე მიმართავს მოწინააღმდეგეებს: სად არის თქვენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რატომ არ გამოხვალთ და აქ კრების წინაშე უარს არ ჰყოფთ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს. მაგრამ მიჩვეულნი შეუგნებელ და ბნელ ძალებში მუშაობას, აქ სინათლეზე გამოსვლას ვერ გაბედავენ—იციან, რომ აქ შესაფერს პასუხს მიიღებენ და გაშავებულნი დაბრძანდებიან, ათავებს სიტყვას ორატორი. მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი—რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება საბჭოთა რუსეთში ყოფილ საქარ. წარმომადგენლის ამხ. გაბო ხუნდაძისა საბჭოთა რუსეთის მთავრობისა და მისი მოღვაწეობის შესახებ სახელმწიფოს სხვა და სხვა დარგებში, ნაძალადევის მოქალაქეთა და მუშათა მრავალრიცხოვანი კრება იწონებს საქარ. დემ. რესპუბლიკის მთავრობის ძირითად პოლიტიკურ ხაზს, რომელშიაც თავის პოლიტიკით იხსნა მხარე სამოქალაქო ომისაგან, დანგრევისაგან და მშრომელი ხალხი ფიზიკურ განადგურებისაგან, კრება აღუთქვამს მთავრობას მთელი თავის ძალღონით დახმარებას ყველა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში, რომლებიც მიმართული იქნება ჩვენი მხარის ასაყვავებლათ და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ? მოხსენება მეტათ შინაარსიანი გამოდგა და ხალხიც ძალიან კმაყოფილი დაიშალა.

მდივანი გ. ფოფხაძე.

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 28 ივნისს მოხდა ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ: იაჩეიკის წარმომადგენელი ილ. კოპლამაზაშვილი, სახალხო გვარდიელთა შტაბიდან აპ. ჩიჩავა და სარევიზიო კომისიის წევრი ლ. დოლიძე.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) ზოგიერთ წევრების უმოქმედობა, 8) სოციალურ დახმარების საზოგადოების შესახებ, 4) საზოგადო კრების მოწვევა და შტაბის წევრთა სიის შემუშავება.

მოხსენება თფილისის კომიტეტიდან კოლექტივს არ მოუსმენია, რადგან ეს უკანასკნელი არ შეკრებილა. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება სახალხო გვარდის რაიონულ შტაბის ზოგიერთ წევრების მიერ შეცდომების დაშვებას, კოლექტივი სავსებით ადასტურებს და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ შტაბის ზოგიერთ წევრს ჩადენილი აქვთ შეცდომები, რაც ზიანს აყენებს საერთო მუშაობას. კოლექტივის ზოგიერთ წევრების უმოქმედობაზე კოლექტივმა დაადგინა: ყველა პასიურ ამხანაგებს მიეცეს წინადადება. მომავალ სხდომაზე გამოცხადდენ და ახსნან, რა არის მიზეზი მათი უმოქმედობისა იმ დროს, როდესაც რაიონში მეტად საჭიროა ენერგიული მუშაობა.

კოლექტივს ემცნო ცენტრალურ სოციალურ დახმარების საზოგადოების მუშაობა, როგორც რაიონის ფარგლებში, ისე ცენტრში; კოლექტივმა აღიარა ასეთი საზოგადოების დაარსება ფრიად საჭიროდ და დაადგინა, რომ ამ საზოგადოების მომავალ რაიონულ საზოგადო კრებიდან მიიღოს იმაში ფართო მონაწილეობა, ყოველი მხრით ხელი შეუწყოს ამ საზოგადოების მომავალ მუშაობას, გაავრცელოს რაიონში გაზეთი „სოციალური დახმარება" და სხვა.

გადაწყდა, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს საზოგადო კრება პარტიის წევრთა, სადაც უნდა გაკეთდეს მოხსენება პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ.

მთავარი ყურადღება კოლექტივმა მიაქცია სახალხო გვარდიის შტაბის მომავალ რეორგანიზაციის საკითხს, რომელიც მოხდება პირველ ივლისს; კოლექტივმა საჭიროდ დაინახა მომავალ შტაბის წევრთა საკანდიდატო სიის შემუშავება, რომელიც წარმოდგენილი იქნება გვარდიელთა საზოგადო კრებაზე.

დასასრულ კოლექტივმა მოისმინა განცხადება ამხ. სარგის ამბარცუმოვისა, ამხ. დარბაზოვის ოჯახის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენის შესახებ, რომელმაც დასტოვა წმინდა შემოსავალი 2000 მანეთი. **ვერხვი.**

თფილისი. 28 ივნისს, ცენტრალურ ფოსტის დარბაზში შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო მოხსენება მეორე პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ. მომხსენებლად იყო ამხ. ბ. თევზაია. კრებამ მოისმინა მოხსენება, ერთხმად მოიწონა ყრილობის მუშაობა და დაადგინა მიიღოს ყოველ გვარი ზომები ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციების დასაცავად და ცხოვრებაში გასატარებლად.

მუშათა შორის

ხელზე მოსამსახურეთა კავშირში.

„საქ. კომუნისტი"-ს № 10-ში ალ. ალავიძეს მოუთავსებია ანგარიში ხელზე მოსამსახურეთა კავშირის დელეგატების კრებისა. ის სწერს: „გამგეობის მხრივ მოხსენება გააკეთა ამხ. ლეჟავამ. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ არამცთუ ახალი რამე არ გაუკეთებია გამგეობას კავშირისათვის, პირიქით ძველი მდგომარეობაც ვერ შეუნახავს"-ო და ამას ამტკიცებს იმით, რომ თურმე ორი წლის წინად კავშირში ყოფილა 2000 წევრი, დღეს კი არის 814. ალავიძეს ჰგონია, რომ ეს გამგეობის ბრალია. ეს მას არ გაემტყუნება, იმიტომ, რომ შეიძლება არ იცოდეს, თუ რაზეა დამოკიდებული წევრების კავშირში შემოსვლა და გასვლა. ამიტომ ყველა კავშირის წევრების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ წევრების რიცხვის შემცირება და გაზრდა დამოკიდებულია თვით წარმოების მდგომარეობაზე. დღეს ძლიერ ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც კავშირში არ შემოდიოდენ. ჩვენ გვაქვს სია წარმოებებისა და მოსამსახურეების; მაგრამ აქ ორი ათასი კაცი არც კი არის, რომ მათი წევრების ჩაწერა შეიძლებოდეს. და თუ ობიექტიური პირობების წყალობით წევრების რიცხვმა იკლო,—ეს გამგეობის ბრალი არ არის. ერთ მაგალითს მოვიყვან ამის დასამტკიცებლათ. გერმანიაში 1906 წ. გადამზიდველთა მუშათა კავშირში ჩაწერილი იყო 200 ათასი წევრი, ერთი წლის შემდეგ კი დარჩა $81\frac{1}{2}$ ათასი. იქ რომ ბ-ნი ალავიძე ყოფილიყო,—იქაურ გამგეობას ჯვარს აცვამდა. შემდეგ იგი სწერს რომ „ფინანსიური მდგომარეობა საშინლადაა აწეწილი"-ო. ბ-ნ ალავიძემ რომ არ იცოდეს, ვიმეორებ, ეს კავშირის ბრალი არ იქნება. კავშირს შეხვდა ისეთი ხარჯები, რომლებიც აუცილებელი იყო. და თუ მას ეს არ სიამოვნებს,—ეს ჩვენი ბრალი არ არის. გადახედოს მან საერთოდ კავშირების მოძრაობას დასავლეთ ევროპაში და ნახოს ჩვენი კავშირების კასა და მაშინ დარწმუნდება, რომ თანხა კასაში ხან კლებულობს, ხან მატულობს. ეს ასეც იქნება. ეს ბ-ნო ალავიძე რეგრესი არ არის. მხოლოდ საქმე იმაში არის, რომ ბოროტება არ მოხდეს და თუ ამას ხედავ, ამხ. ალავიძევ, გთხოვთ ბრალდებები წამოგვიყენოთ, არც პირველ მის დებულებაში, არც მეორეში გამგეობას დანაშაული არ მიუძღვის. კიდევ მეტი: გამგეობას, რომ კარგათ არ ემუშავნა, კავშირში 100 კაცი დარჩებოდა. ძლიერ ცდება ალავიძე, როდესაც სწერს:—„მიეცეს გამგეობას წინადადება, რომ ანგარიშები სწორად აწარმოვოსო", ეს იმას ნიშნავს, რომ გამგეობას ბოროტება ჩაუდენია. ეს ამხ. ალავიძემ უნდა დაამტკიცოს. პასუხს ველით. **პ. ლეჟავა.**

პროვინცია

სოფელი მუხრანი (დუშეთის მაზრა). სოფ. მუხრანში, ადგილობრივ თემის გამგეობის თავმჯდომარის ა. დონდოლაძის ინიციატივით შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომლებმაც 20 ივნისს თემის შენობაში გვარდიელების ოჯახის სასარგებლოთ წარმოადგინეს ყაზბეგის „არსენა" და გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი". წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო, მაგრამ უადგილობის გამო ბილეთები ცოტა გაიყიდა და შემოსავალი უდრიდა მხოლოთ 5,000 მანეთს, რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

მუხრანი პირველათ ეღირსა წარმოდგენას: დღემდე არავის აზრათ არ მოსვლია წარმოდგენის დადგმა, თუმცაღა ადგილობრივ საკმარისი ინტელიგენტური ძალები მოიპოვებოდენ, მაგრამ დღემდე პასივობას იჩენდენ. დღეს კი იწყება გამოცოცხლება, როგორც ინტელიგენტთა ჯგუფისა, ისე თვით მშრომელთა მასსის.

მუხრანი განათლების და აღორძინების გზაზე უკვე დაადგა. წარმოდგენა სასურველათ ჩატარდა, და დამსწრე საზოგადოებაშიაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვუსურვებთ ახლათ დაარსებულ სცენის მოყვარეთა ჯგუფს ენერგიულ მუშაობას, სცენის სამოღვაწეო ასპარეზზედ, რომელიც შესძლებს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ მხარის გამოფხიზლებას და კეთილი იდეალებისკენ გზის გაკაფვას. **ახალმოსული.**

წერილი რედ. მიმართ

ამ დღეებში გაზ. „ერთობის" № 141 ნომერში ვინმე „სცენის მოყვარის" მიერ იყო მოთავსებული წერილი მუშტაიდის კლუბის შესახებ.

ბ. სცენის მოყვარე, ალბათ რაიმეზე გულნატკენი, ჯერ სწერს რეცენზიას, სადაც თითქმის ყველა სცენის მოყვარეებს უწუნებს როლების შესრულებას, მესამეთ კი ეხება დარბაზში წესრიგს და ისე ამახინჯებს ფაქტებს, თითქო მართლაც ანარქია და საშინელი ქაოსი იყოს დარბაზში.—სრული ანარქია. არც სკამებია რიგზე დანომრილი, არც ვინმე გამწესრიგებელი და ალაგის მაჩვენებელი. არის პაპიროსის წევა. სდგას შეხუთული ჰაერი. ბავშვების წივილ-კივილი, ხმაურობა. ბუფეტში სპეკულიანტური ფასებია.

აი ასე აგვიწერს ბ. სცენის მოყვარე მუშტაიდის კლუბს.

მკითხველი, რომელიც არ იცნობს მუშტაიდის კლუბს, და ეცნობა მხოლოდ ამ აღწერით, უთუოდ იკითხავს:

— ასეთ კლუბში განა შესვლება კაცსო?

მკითხველებს უნდა მოვახსენოთ შემდეგი:

მუშტაიდის კლუბი მხოლოდ ამ მოკლე ხანში გადმოვიდა რკინის-გზელთა ცენტრალურ კულტურა-განათლების კომისიის ხელში.

ამ მოკლე ხანში ჩვენ მოგვიხდა ბევრი შრომისა და ენერგიის დახარჯვა, რომ მოგვეგვარებია აქოთებულ-ჩაფუშული საქმეები, დაგვემყარებია წესიერება და, რაც უმთავრესი იყო, გაგვეწმინდა კლუბი ისეთი სცენის მოყვარეთაგან, რომელთაც დიდი არაფერი კავშირი აქვთ მელპომენის ტაძართან და არც ჩვენს მუშებში ხელოვნების სიყვარულის შეტანა აინტერესებთ.

ჩვენ არ ვიცით, ბ. „სცენის მოყვარე", რომელიც ასე ათანასწორებს მიწასთან „ქრისტინეში" მონაწილე სცენის მოყვარეებს და თვით ადმინისტრაციას, ურევია განდევნილ სცენის მოყვარეთა სიაში თუ არა, მაგრამ მთელი მისი წერილის კილო და ლანძღვა-გინება ერთგვარ საფიქრებელში მაინც გვაგდებს:

— ხომ არაფერ ბრაზს იყრის ბ-ნი სცენის მოყვარე? პირადი ანგარიშები ხომ არ ალაპარაკებს ასე?

ჩვენ არ გამოუდგებით მომქმედ პირთა დაფასებას. ეს ბ. „სცენის მოყვარის" სინიდისზე და გემოვნებაზე მიგვინდვია. ხოლო რაც შეეხება წესრიგს, უნდა განვაცხადოთ, რომ იმ დღეს დარბაზში საუცხოვო წესრიგი იყო, არც პაპიროზის წევას ჰქონია ადგილი დარბაზში, შეიძლება ვინმე ჯიბეში მალავდა პაპიროსს, მაგრამ თუ ეს შეამჩნია ბ. სცენის მოყვარემ, ნუ თუ უფრო ადვილი არ იყო ეს განეცხადებია კლუბის გამგისთვის ან კაპელდინერისთვის, ვიდრე გაქცეულიყო რედაქციაში და ერთი ადლი წერილი დაეწერა?

რაც შეეხება თეატრის გამგეს, ის მუდამ თეატრში იმყოფება და მისი დანახვა ბრმასაც კი შეუძლია, არა თუ ბ. სცენის მოყვარეს.

რაც შეეხება სკამების დანომრას, ეს ამბავი ბ. სცენის მოყვარესაც კარგათ მოეხსენება.

ჩვენ მივიღეთ ბევრი დაზიანებული სკამები. იმათ თანდათან ვაძლევთ შესაკეთებლათ. და ამიტომ ხშირათ აქა-იქა გვაკლია სკამები, მაგრამ ამით არასოდეს არავითარი ანარქია არ შექმნილა თეატრში და ამ გარემოებას თეატრის ადმინისტრაცია ყოველთვის უწევს ანგარიშს ბილეთების გაყიდვის დროს.

ბ. სცენის მოყვარე ვიღაცზე იმდენათ გაბრაზებული ყოფილა, რომ არც პატარა ბავშვები დაინდო და მათზედაც იყრის ჯავრს.

— იმ ღამეს ბავშვების ტირილსა და წივილში ვერაფერს გაიგონებდა კაცი.

აბა სად იყო ბავშვი?

ამ წარმოდგენაზე ერც ერთი პატარა ბავშვი არ ყოფილა დაშვებული. ამ მხრით ჩვენ ბევრი კიდეც გვემდურის, ვინაიდან ბავშვებიანათ არა ერთი და ორი მომსვლელი თეატრში გაგვიბრუნებია უკან.

რაც შეეხება ბუფეტში ფასებს, ჩვენს კლუბშიც ისეთი ფასებია, როგორც სხვა დანარჩენ მუშათა კლუბებში.

მაგრამ სცენის მოყვარეს ხომ სიმართლის აღნუსხვა არ აინტერესებდა? ეს არც კი შედიოდა მის პროგრამაში.

მას აინტერესებდა ჭორის შეთხზვა, მკითხველების შეცდომაში შეყვანა და ამნაირათ გულზე მოწოლილ ჯავრის ამოყრა.

ჩვენ კლუბს მტრებიც ჰყავს.

ესენი გახლავთ ის პირნი, რომელთაც არ სურდათ ეს კლუბი გადმოსულიყო ჩვენს ხელში.

ზოგიერთ პირებს ეს კლუბი სხვა მიზნებისთვის უნდოდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. და ეხლა რაღა დარჩენიათ იმაზე მეტი, თუ არ გვიკბინეს და გვიღრინეს?

ბ. სცენის მოყვარე გვეკითხება თუ რას ვფიქრობთ ჩვენ, კულტურო-განათლების კომისია, როცა „ვხედავთ ყველა ამას".

ინებეთ პასუხი.

ჩვენ ვფიქრობთ და ვმეცადინეობთ გავწმინდოთ ეს კლუბი ისეთი ელემენტებისგან და სცენის მოყვარეთაგან, რომლებიც დახმარების მაგიერ ჩვენ და ჩვენს მუშებს ინტრიგებით და კინკლაობით ხელს გვიშლიან ამ საქმეში.

რკინის გზელთა ცენტრალური კულტურა-განათლების კომისია.

განცხადებანი

დაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი
გიმნაზიის
ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. პ. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე განმეორებითი „გამოცდებზ„: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით".
(2021 8—8)

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრიდიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—პლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდოსკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **ივ. გოპერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვეჭიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**
სპეციალურად **ქირურგიულ** ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ექიმი
გენრის ისაიას ძე **პოლოხი**
(ქუთაისიდან)
ლებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **პოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ე. გ. მძინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

რეალური სკოლის დირექტორი და დამაარსებელი
ი. ფონ ბრენერი
აუწყებს მშობლებს მასწავლებლებისას და მოწაფეებისას, რომ დღეიდან ვკეტავ ჩემ მიერ დაარსებულ სკოლას კურსებით და გთხოვთ მობრძანდეთ მისაღებათ: დოკუმენტების, ცნობებისა და ყოველგვარ პრეტენზიებისათვის. დილის 9—12 საათამდე. ი. ი. ფონ ბრენერი. (2114—1—1)

ცეკვის სკოლა ი. ა. როზენბერგისა
27 წ. არსებობს. 27 წ. არსებობს.
დაიწყო ზაფხულის სეზონი 29 ივნისიდან. სპეციალურად აზიური, ევროპიული და საბალეტო ცეკვისა. კარგათ სწავლებისათვის ვიძლევი სრულ გარანტიას. მიიღება ბავშვები 5 წლიდან დაწყებული. საერთო ცეკვა: კვირაობით სამშაბათობით და პარასკეობით საღ. $7\frac{1}{2}$ ს. 10 საათ. მიღება ყოველ დღე: დილის 10 ს. საღ. 7 ს. მიხეილის პრ. № 105. სასტუმრო „ვიქტორიის" გვერდით. (2066 3—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.